პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოსცემს 1918-ე წელი | № 165 (10862) | კვირა, 14 ივლისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე

დღეს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი, მისი გმირი შეიარაღებული ძალები აღნიშნავენ ტრადიციულ სახალხო დღესასწაულს — სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო ამ დღეს აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის მზადების ვითარებაში, როდესაც ფართოდ არის გაშლილი საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის დარგში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

კომუნისტური პარტიის მზრუნველობით, საბჭოთა ადამიანების გმირული შრომით შექმნილი სამხედრო-საზღვაო ფლოტი ფხიზლად დადარაჯობს, თვალსაჩინოვით უფრთხილდება ჩვენი სამშობლოს საზღვაო სანაპიროებს. ამიტომ არის, რომ საბჭოთა ხალხს უყვარს და ამაყობს თავისი ფლოტით.

სსრ კავშირი დიდი საზღვაო ქვეყანაა. საბჭოთა სამხედრო მეზღვაურები რუსული ფლოტის გმირული ტრადიციების ღირსეული მემკვიდრეები და საუკეთესო განმგრძობნი არიან.

კომუნიზმის მშენებელი ადამიანები საყვარულითა და პატივისცემით იხსენიებენ დიდ რუს ფლოტმძღოლებს — უშაკოვს, სენიავინს, ლაზარევს, ნახიმოვს და სხვებს, რომლებიც თავისი ეპოქის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები იყვნენ და ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს სამამულო ფლოტის ისტორიაში.

საამაყოა ჩვენი ფლოტის რევოლუციური ტრადიციები. არასოდეს არ იქნება დავიწყებული გმირ პოტიომკინელთა თავდადება, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ცარიზმის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1917 წლის ოქტომბერში სოციალისტური რევოლუციის ავანგარდში იმყოფებოდა ლეგენდარული კრეისერი „ავროორა“, რომლის ზალპებმა მსოფლიოს ახალი, სოციალისტური ეპოქის დასაწყისი ამცნო. მეზღვაურთა რიგებიდან წარმოიშვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბევრი სახელგანთქმული გმირი. სამოქალაქო ომის პერიოდში სოციალისტური რესპუბლიკის ახალგაზრდა ფლოტი გმირულად იბრძოდა უცხოელ ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ.

კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ხალხის მზრუნველობით, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შედეგად ომისწინა ხუთწლედებში სამხედრო-საზღვაო ფლოტი აღიჭურვა უახლესი ტექნიკით, ახალი საბრძოლო იარაღით.

დიდ სამამულო ომში სამხედრო-საზღვაო ფლოტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ფაშისტ დამპყრობთა განადგურების საქმეში. ომის მთელი პერიოდის განმავლობაში ფლოტი საბჭოთა არმიის საიმედო და ერთგული თანაშემწე იყო.

სამამულო ომის მატიანეში ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი სევასტოპოლელთა გმირობა და მამაცობა. სამშობლოსათვის თავდადებით ხელთუქმნელი ძეგლი აიგეს ლენინგრადის, ოდესის, მურმანსკის დამცველმა მამაცმა მეზღვაურებმა. ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს გმირული დაცვისათვის ხუთასზე მეტ სამხედრო მეზღვაურს მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

საბჭოთა ადამიანებს უყვართ საზღვაო საქმე, რომელიც დიდ ცოდნას, გამბედაობას, მამაცობას მოითხოვს. სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის ხალხის პატრიოტული ზრუნვის გამოხატულებაა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქმიანობა. ამ საზოგადოების წევრთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს სამხედრო-საზღვაო საქმე.

საბჭოთა ხომალდმშენებლებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის ძლიერების განმტკიცების საქმეში. ისინი განუხრელად სრულყოფენ გემთმშენებლობის ტექნოლოგიას, ქმნიან თანამედროვე საბრძოლო გემებს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობისმოყვარულ ლენინურ პოლიტიკას, იბრძვიან მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის. მაგრამ კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციული წრეები ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. ისინი სულ უფრო ზრდიან სამხედრო ბიუჯეტებს, ეწევიან გამალებულ შეიარაღებას, აკოწიწებენ აგრესიულ ბლოკებს. ამიტომ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები, მათ შორის სამხედრო-საზღვაო ფლოტი, მტკიცედ დგანან ჩვენი წმიდათა-წმიდა სამშობლოს დაცვის სადარაჯოზე, თვალისჩინივით უფრთხილდებიან კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა შემოქმედებითს შრომას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება „გ. მ. მალენკოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ვ. მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“ ერთხელ კიდევ ნათლად მეტყველებს ცენტრალური კომიტეტის მტკიცე და თანმიმდევრულ ბრძოლაზე სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის, ხალხთა შორის მეგობრობის, სოციალისტური ბანაკის ყოველი ღონისძიებით განმტკიცებისათვის. ჩვენმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მხურვალედ მოიწონეს და ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას.

საბჭოთა ხალხი ზეიმით აღნიშნავს სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს. მას მტკიცედ სწამს, რომ სამხედრო მეზღვაურები კვლავაც განუხრელად აიმაღლებენ საბრძოლო მზადყოფნის დონეს, დაუღალავად იბრძოლებენ საბჭოთა ფლოტის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და დიდებისათვის.

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1957 წ. 14 ივლისი № 132 ქ. მოსკოვი

ამხანაგო მატროსებო და ჯარისკაცებო, ზემდეგებო და სერჟანტებო!
ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!
ამხანაგებო, გემთმშენებელი მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი მამაცი შეიარაღებული ძალები აღნიშნავენ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს. სამხედრო მეზღვაურები, ისევე როგორც შეიარაღებული ძალების მთელი პირადი შემადგენლობა, თავიანთი ხალხისადმი უსაზღვროდ ერთგულნი, კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი, თავდადებით ასრულებენ თავიანთ მხედრულ მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

გილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს!

ვუსურვებ სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირად შემადგენლობას გულმოდგინედ დაეუფლოს ახალ იარაღსა და საბრძოლო ტექნიკას, აითვისოს თანამედროვე საბრძოლო და ტექნიკური საშუალებათა გამოყენების წესები და ხერხები, განუწყვეტლივ აიმაღლოს საბრძოლო მზადყოფნა.

გემთმშენებელი მრეწველობის მუშებს, კონსტრუქტორებსა და ყველა მუშაკს ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს სამხედრო-საზღვაო ფლოტის აღჭურვაში თანამედროვე ხომალდებით.

სამხედრო საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 1957 წლის 14 ივლისს, ფლოტებსა და ფლოტილიებში მიცემულ იქნას სამხედრო ხომალდებისა და სანაპირო ბატარიების სალუტი ოცდაერთი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის სახელოვან სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი გ. ჟუკოვი.

დარბაზობა პრაღის კრემლში

პრაღა, 11 ივლისი. (საკდესი). დღეს პრაღის კრემლში (გრადში) ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა და მთავრობის თავმჯდომარემ დიდი დარბაზობა გამართეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელიც ამჟამად სტუმრად არის ჩეხოსლოვაკიაში.

დარბაზობას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ნ. ს. პატოლიჩევი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ო. ი. ივაშჩენკო, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. გრიშინი, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ი. ტ. გრიშინი, დელეგაციის თანმხლებნი არმიის გენერალი ი. ა. სეროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები ა. ი. გორჩაკოვი, თ. თ. მოლოჩკოვი, ი. ი. უდალცოვი.

დარბაზობას დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ზაპოტოცკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ნოვოტნი, მთავრობის თავმჯდომარე ვ. შიროკი, ეროვნული კრების თავმჯდომარე ზ. ფირლინგერი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეები ი. დოლანსკი, ვ. კოპეცკი, ლ. იანკოვცოვა, კ. პოლაჩეკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. გენდრიხი, ბ. კელერი, ო. ჩერნიკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, შინაგან საქმეთა მინისტრი რ. ბარაკი, სახელმწიფო საგეგმო სამმართველოს თავმჯდომარე, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ო. შიმუნეკი, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის თავმჯდომარე აკადემიკოსი ზ. ნეედლი, პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ფ. ზუბკა, ქალაქ პრაღის პრიმატორი ა. სვობოდა, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ი. ვოშაგლიკი, მინისტრები, ეროვნული ფრონტის პარტიებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, ჩეხოსლოვაკი და უცხოელი ჟურნალისტები.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ზაპოტოცკიმ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დარბაზობაზე სიტყვები წარმოთქვეს.

დარბაზობამ განსაკუთრებული გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

ბრატისლავაში ჩავიდა სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია

ბრატისლავა, 12 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს თვითმფრინავით ბრატისლავაში ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები.

ნ. ს. ხრუშჩოვმა, ნ. ა. ბულგანინმა და პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრებმა მონაწილეობა მიიღეს მასობრივ მიტინგში, რომელიც გაიმართა სადღესასწაულოდ მორთული ქალაქის ცენტრში კლემენტ გოტვალდის სახელობის მოედანზე.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის მიტინგი ბრატისლავაში

ბრატისლავა, 12 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ კლემენტ გოტვალდის მოედანზე გაიმართა მასობრივი მიტინგი საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელიც აქ ჩამოვიდა. მაღალი მრავალსართულიანი ახალი შენობებით გარშემორტყმულ დიდ მოედანზე შეიკრიბნენ ბრატისლავისა და მეზობელი ქალაქების მუშები, მოსამსახურეები, მეზობელი სოფლების გლეხები.

დიდი ხნით ადრე, სანამ საბჭოთა დელეგაცია მოვიდოდა მოედანზე, რომელიც სადღესასწაულოდ არის მორთული საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ალმებით, წითელი დროშებით, შეიკრიბა 120.000 მშრომელი. 11-სართულიან შენობაზე, რომლის ფასადიც მოედანზე გამოდის, ორმეტრიანი ასოებით არის წარწერილი „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მეგობრობას!“. ტექნოლოგიური ინსტიტუტის შენობაზე — ტრანსპარანტი „მივესალმებით ჩვენში მშვიდობისა და ძმური თანამშრომლობის მაუწყებლებს“. მოედნის გარშემო შენობები მორთულია მარქსის, ენგელსის, ლენინის, ამხანაგების კ. გოტვალდის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ნ. ა. ბულგანინის დიდი პორტრეტებით.

ტრიბუნებზე არიან სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური და საოლქო კომიტეტების, სლოვაკიის კომპარტიის ბრატისლავის საქალაქო კომიტეტის წევრები, რწმუნებულთა კორპუსის წევრები, ეროვნული საბჭოს დეპუტატები, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, წარმოების მოწინავეები, კულტურის მოღვაწეები.

ტრიბუნაზე საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ხელმძღვანელთა გამოჩენას ხვდებიან მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით, შეძახილებით საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურღვევი მეგობრობის, ხალხთა ძმური თანამშრომლობის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიების მეგობრობის პატივსაცემად.

სლოვაკიის კომპარტიის ბრატისლავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. გერსკოვამ გახსნა მიტინგი. შემდეგ მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. კ. ბაცილეკმა.

საბჭოთა ხალხისა და მისი კომუნისტური პარტიისადმი ძმური სალამი გამოთქვეს გიორგი დიმიტროვის სახელობის ქარხნის მუშამ ი. მიხალიდესმა, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის თავმჯდომარემ ფ. ადამეკმა, 9 მაისის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშამ მ. კალამ. ორატორთა სიტყვების დროს არაერთხელ გაისმოდა მქუხარე ტაში, მისალმებანი საბჭოთა კავშირის, სოციალიზმის ქვეყნების ძმური ერთიანობის პატივსაცემად.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ამხანაგ ხრუშჩოვის სიტყვას შეხვდნენ მქუხარე ოვაციებით საბჭოთა კავშირის, საბჭოთა ხალხის, მისი კომუნისტური პარტიის პატივსაცემად. სიტყვის დამთავრების შემდეგ წარმოიშვა საბჭოთა კავშირისადმი, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიებისადმი ჩეხოსლოვაკი ხალხის მეგობრული გრძნობების მომხიბვლელი მანიფესტაცია. მიტინგის 120.000 მონაწილე ასრულებს „ინტერნაციონალს“.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ბრატისლავაში

ბრატისლავა, 12 ივლისი. (საკდესი). დღეს დღის მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ სლოვენსკის ბორცვზე გვირგვინებით შეამკო ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების საფლავები.

ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. პატოლიჩევი, ო. ი. ივაშჩენკო, ვ. ვ. გრიშინი და მათი თანმხლები პირები ქუდმოხდილი დგანან საბჭოთა მეომრების საფლავთან. გაისმის საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჰიმნების საზეიმო მელოდია. საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის გვირგვინზე წარწერილია: „სამარადისო დიდება დაღუპულ საბჭოთა მეომრებს“. საბჭოთა მეომრების საფლავი შეამკეს აგრეთვე სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რწმუნებულთა კორპუსისა და სლოვაკიის ეროვნული საბჭოს გვირგვინებით.

დელეგაციის წევრები გაეცნენ საბჭოთა მეომრების ძეგლის პროექტს, რომლის ავტორები არიან მოქანდაკეები ი. სვეტლიკი და ა. ტრიულიაკი.

დღეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. პატოლიჩევი, ო. ი. ივაშჩენკო, ვ. ვ. გრიშინი და ჩეხოსლოვაკიაში მოგზაურობისას მათი თანმხლები ა. ნოვოტნი, ვ. შიროკი, ი. გენდრიხი, რ. ბარაკი და ვ. დავიდი ეწვივნენ შედუღების ინსტიტუტს, რომელიც წარმოადგენს რესპუბლიკის ერთ-ერთ დიდ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებას. ახსნა-განმარტებას აძლევდა ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ი. ჩაბელკა.

საბჭოთა სტუმრები და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები გაეცნენ ინსტიტუტის გეგმებს და ახალი შემდუღებელი აგრეგატების მუშაობას. ნ. ს. ხრუშჩოვმა, ნ. ს. ბულგანინმა და დელეგაციის სხვა წევრებმა საფანი მინით ამოვსებულ ინსტიტუტში შექმნილი ახალი შემდუღებელი ავტომატური ჩარხის საშუალებით ალუმინის შედუღების პროცესი. ამ აგრეგატების მასობრივი გამოშვება უკვე მოგვარებულია ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთ მანქანათმშენებელ ქარხანაში. აგრეგატზე დიდი მოთხოვნილებაა მსოფლიო ბაზარზე. დელეგაციის წევრები შემდეგ გაეცნენ მდნობის საშუალებით ავტომატური დადუღების მეთოდებს, საგაზო, საკონტაქტო შემდუღებელი აგრეგატების მუშაობას, რკალური შედუღებას მეთოდებს და სხვ. მათ დაათვალიერეს შემდუღებელი საამქროს მზა პროდუქცია: შედუღებული რთული კუთხეები, რესტავრირებული მუხლა ლილვები და მანქანების სხვა რთული დეტალები. დელეგაციის წევრები გაეცნენ აგრეთვე მთელ რიგ შემდუღებელ აგრეგატებს, რომლებიც დამზადებულია საბჭოთა კავშირში და წარმატებით მუშაობენ ინსტიტუტის საამქროებსა და ლაბორატორიებში.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციისა და ჩეხოსლოვაკიის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების მიერ შედუღების ინსტიტუტის დათვალიერების დასასრულს შემდუღებელ საამქროში გაიმართა მიტინგი. საბჭოთა სტუმრებს მიესალმა ინსტიტუტის დირექტორი ი. ჩაბელკა. ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობა გადაუხადა ინსტიტუტის ხელმძღვანელებს და ყველა დამსწრეს იმისათვის, რომ დელეგაციას საშუალება მიეცა გასცნობოდა ამ სამეცნიერო დაწესებულების მუშაობას. მან მოუწოდა გაძლიერდეს გამოცდილების ურთიერთგაზიარება საბჭოთა და ჩეხოსლოვაკ მეცნიერებს შორის ლითონდამუშავების დარგში.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიაში

ბრატისლავა, 13 ივლისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში სტუმრად იმყოფება, დღეს ბრატისლავიდან გაემგზავრა. დელეგაციის ნაწილი, რომელსაც ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს, გაემგზავრა ჩრდილოეთ მორავიის სამრეწველო ქალაქ ოსტრავის მაღაროელებთან და მეტალურგებთან, სადაც ყოფნის პირველი საათები მოანდომა კუნჩიცში კლემენტ გოტვალდის სახელობის ახალი მეტალურგიული კომბინატის დათვალიერებას.

დელეგაციის მეორე ნაწილმა ნ. ა. ბულგანინის მეთაურობით ინახულა მორავიის სამრეწველო ცენტრი — ქალაქი ბრნო, სადაც დაათვალიერა იან შვერმის სახელობის დიდი მანქანათმშენებელი ქარხანა.

გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა

გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა 10 ივლისისათვის 102 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა სიმინდის ჩაუთვლელად.

სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება გრძელდება.

ჩაის ფოთლის დამზადება

(„საქართველოს ჩაის“ ტრესტის 1957 წლის 11 ივლისის ცნობებით)

რაიონები	გეგმის შესრულება %-ობით წლიურისა	ივლისისა წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით	რაიკომის მდივნები, რაიაღმასკომის თავმჯდომარეები
ბათუმის	57,8	36,7	ს. ესაძე, ა. ანანიძე
ქობულეთის	50,8	27,4	ა. გოგიტიძე, ლ. წულუკიძე
ქედის	42,5	15,2	ვ. კოკვაძე, ვ. ნაკაშიძე
სულ აჭარაში	52,5	29,6	
გალის	49,0	28,9	დ. გოგოხია, ხ. ტუფფარია
ოჩამჩირის	52,7	32,8	ჩ. აბგაჯი, ტ. სოსელია
გულრიფშის	64,0	52,4	ლ. ელექჩიანი, შ. ბოკერია
სოხუმის	60,9	44,4	გ. ჭაჭია, პ. ცანავა
გუდაუთის	48,9	23,8	დ. ხვარცია, კ. გერია
სულ აფხაზეთში	50,9	30,3	
მახარაძის	47,1	24,1	შ. ჭანუყვაძე, დ. ხაბაშვილი
ჩოხატაურის	51,8	29,7	ა. გოგბრონიძე, გ. მამალაძე
ლანჩხუთის	49,8	32,2	დ. მანწყავა, მ. ვადაჭკორია
სამტრედიის	46,2	24,7	ნ. ფანცულაია, მ. ასათიანი
წულუკიძის	34,9	17,6	ს. ლეკვა, მ. აბზიანიძე
ქუთაისის	41,6	28,3	მ. ბიბილაშვილი, ლ. ტაბიძე
წყალტუბოს	55,4	40,8	ვ. ურუშაძე, გ. გაგოშიძე
ტყიბულის	46,2	35,2	კ. ლომაძე, ი. გიორგობიანი
ცხაკაიას	36,4	17,1	ი. ურუშაძე, დ. ბალათურია
აბაშის	30,9	19,0	მ. ბოკერია, ა. ჯღარკავა
გეგეჭკორის	44,4	28,5	კ. ხუბულავა, გ. შეროზია
ზუგდიდის	43,9	26,2	მ. ღვინჯილია, ვ. ეხართია
წალენჯიხის	51,7	36,6	ვ. კვარაცხელია, ი. ზარანდია
ჩხოროწყუს	49,1	34,4	მ. ცანავა, შ. ხუნტუა
ხობის	48,9	35,3	ა. წურწუმია, ხ. ნასარაია
თერჯოლის	61,9	38,0	პ. სახვრიძე, ი. შუღლაძე
ზესტაფონის	44,7	35,0	შ. ხიდაშელი, გ. არევაძე
ჭიათურის	58,0	63,1	პ. აბესაძე, გ. ლომიძე
ვანის	61,0	69,0	გ. ლილუაშვილი, ა. ლომინაძე
სულ საქართველოს სსრ-ში	48,3	28,2	



გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებში მოსავლის აღება მთავრდება. 10 ივლისისათვის გეგმით გათვალისწინებული 6 ათასი ჰექტარიდან აღებული იყო 5.606 ჰექტარი. თავი გამოიჩინა ვ. ალექსიშვილის კომბაინის აგრეგატმა, რომელმაც 10 დღეში 200 ჰექტარზე მეტი მომკა. სურათზე: ხორბლის ხვავის დაცლა ავტომანქანაში ვ. ალექსიშვილის კომბაინის ბუნკერიდან.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ჩვენი ქვეყნის საზღვაო საზღვრების სადარაჯოზე

წელს სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე აღინიშნება დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. ამ დღესასწაულს საბჭოთა ადამიანები ხვდებიან ახალი მიღწევებით კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს ჩვენი ქვეყნის მშრომელები დღესასწაულობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისათვის მზადების დღეებში.

საბჭოთა ხალხი თავდადებით შრომობს, რათა განახორციელოს საბჭოთა კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

ასრულებენ რა დიადი კომუნისტური პარტიის მითითებებს, საბჭოთა არმია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი ფხიზლად იცავენ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებულ მშვიდობას, მის შემოქმედებითს შრომას.

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვით, ჩვენი ქვეყნის ხალხების უსაზღვრო სიყვარულით გარემოსილნი, საბჭოთა მეზღვაურები დღითიდღე სრულყოფენ მხედრულ ოსტატობას, მოთმინებით, ბეჯითად ეუფლიან რთული სამხედრო ტექნიკის ათვისებას, განამტკიცებენ დისციპლინას, თავიანთი რიგების ორგანიზებულობასა და შემეჯიდროებას.

ჩვენი სამშობლო არა მარტო მძლავრი სახმელეთო, არამედ აგრეთვე დიდი საზღვაო სახელმწიფოა, რომელსაც თოთხმეტი ზღვა და ორი ოკეანე აკრავს. საბჭოთა კავშირის საზღვაო საზღვარი თითქმის 50 ათასი კილომეტრია. ამ ზღვებისა და ოკეანეების სანაპიროზე დიდი სამრეწველო ქალაქები და უმდიდრესი სასოფლო-სამეურნეო რაიონები და ოლქები მდებარეობენ. ზღვებისა და ოკეანეების მეშვეობით ჩვენს სახელმწიფოს კავშირი აქვს უცხოეთის ბევრ სახელმწიფოსთან.

ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესია. მრავალი მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში ჩვენი სამშობლოს ფლოტმა უჭკნობი დიდებით შემოსა თავისი ალამი. მას ბრწყინვალე საბრძოლო ტრადიციები აქვს. უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში ფლოტი მჭიდროდ თანამოქმედებდა სახმელეთო არმიასთან. ჯერ კიდევ პეტრე პირველი ამბობდა, რომ სახელმწიფო, რომელსაც მარტო სახმელეთო არმია ჰყავს, ცალხელაა, ხოლო რომელსაც ფლოტიც აქვს, მას ორივე ხელი აქვსო. რუსეთის დიდ ომებში, როგორც წესი, საზღვაო ფლოტიც ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

რუსი ხალხის საბრძოლო მატიანეში სამხედრო-საზღვაო ფლოტს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ძლევამოსილმა ბრძოლებმა, როგორიც განგუტის, ჩესმის, კორფუს, ნავარინის, სინოპის და სხვა ბრძოლები იყო, სამუდამოდ გაუთქვეს სახელი რუსეთის სამხედრო ხელოვნებასა და იარაღს.

ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ შორს არის ცნობილი ფლოტმძღოლების — ნახიმოვის, უშაკოვის, სენიავინის, ლაზარევის, ისტომინის, მაყაროვის, კორნილოვის, ბუტაკოვისა და სხვების სახელები.

არასოდეს არ იქნება დავიწყებული რუს მეცნიერ ზღვათმოგზაურთა — სედოვის, ლისიანსკის, დენეკენის, ჩირკოვის, გოლოვინისა და სხვათა სახელები. მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს როგორც სამამულო, ისე მსოფლიო მეცნიერებაში. საბჭოთა ხალხი დიდად ამაყობს იმით, რომ ჩვენმა მეცნიერმა ზღვათმოგზაურებმა საზღვარგარეთის მეცნიერებას გაუსწრეს, აღმოაჩინეს მრავალი კუნძული ჩრდილოეთის ოკეანესა და წყნარ ოკეანეში, სრუტე აზიასა და ამერიკას შუა.

კაცობრიობის ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება რუსი მეზღვაურების მიერ მსოფლიოს მეექვსე ნაწილის — ანტარქტიდის აღმოჩენა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ვ. ი. ლენინის ხელმოწერით 1918 წლის 12 თებერვალს გამოქვეყნდა დეკრეტი რუსეთის ძველი ფლოტის დაშლისა და ახალი მუშურ-გლეხური წითელი ფლოტის შექმნის შესახებ. ჩვენი არმიის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ზრდისა და ძლიერების წყაროს წარმოადგენენ პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვა, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა.

ლენინგრადის ბლოკადის გარღვევასა და ლენინგრადთან მტრის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მოსპობაში წითელდროშოვანმა ბალტიის ფლოტმა საბჭოთა არმიის ნაწილებთან ერთად გადაწყვიტა რთული საბრძოლო ამოცანები. გერმანელ დამპყრობლებს დასახული ჰქონდათ ამოცანა რადაც უნდა დასჯდომოდათ ხელში ჩაეგდოთ ჩრდილოეთი — მურმანსკი-არხანგელსკი, მაგრამ მტერი აქაც ანგარიშში მოტყუდა. საბჭოთა არმიამ ჩრდილოეთის ფლოტთან ერთად მთელი რიგი მძლავრი დარტყმები მიაყენა მტერს, ჩაშალა მისი შეტევითი გეგმები, შეასრულა ძირითადი ამოცანა — სახმელეთო ჯარების სტრატეგიული ფლანგის დაცვა ბარენცის ზღვასთან.

საბრძოლო თვისებები, ოსტატობა და სახმელეთო ჯარებთან თანამეგობრობა დაგვანახვეს მამაცმა მეზღვაურებმა ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილშიც — შავი ზღვის აუზში.

გმირი ქალაქების ოდესისა და სევასტოპოლის, აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროს სხვა ქალაქების დაცვის დროს შავი ზღვის ფლოტმა უჭკნობი საბრძოლო სახელი მოიხვეჭა. ოდესასთან და სევასტოპოლთან გააფთრებულ ბრძოლებში შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურებმა საბჭოთა არმიის ნაწილებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად გაანადგურეს გერმანელ ფაშისტთა რჩეული დივიზიები.

ჩვენი მამაცი მეზღვაურების გმირობამ, უმაგალითო გულადობამ და ოსტატობამ აღაფრთოვანა არა მარტო ჩვენი ქვეყანა, არამედ მსოფლიოს ყველა მოწინავე ადამიანი. განსაკუთრებით გაითქვეს სახელი კრეისერებმა „ჩერვონა უკრაინამ“, „კრასნი კავკაზმა“, საესკადრო ნაღმოსანმა „ბოიკომ“, შავი ზღვის ავიაციამ და სანაპირო არტილერიამ. მათ მრავალჯერ მოაწყეს მტრის სასიცოცხლო ობიექტებზე თავდასხმა დიდი დესანტის გადასხმით.

უდიდესი შეტევითი კამპანიის პერიოდში სამხედრო-საზღვაო ფლოტმა უაღრესად დიდი როლი შეასრულა ჰიტლერული ურდოს განადგურებაში და ჩვენი ქალაქებისა და სოფლების განთავისუფლებაში. ჩვენი არმიის და ფლოტის დარტყმების ძალა მტერმა გამოსცადა არა მარტო ზღვებსა და ოკეანეებში, არამედ ვოლგისა და დნეპრის, ბუგისა და ვისლის, დუნაისა და ოდერის წყლის ძირითადი სისტემების რაიონებში, ლადოგისა და ონეგის ტბებზე მომხდარ მრავალ შეტაკებაში.

იმპერიალისტური იაპონიის განადგურებაში დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენს წყნარი ოკეანის ფლოტს, რომელიც საბჭოთა არმიის ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით წარმატებით ანადგურებდა იაპონელ სამურაებს.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა მეზღვაურების სახელოვან საგმირო საქმეებს. 500-ზე მეტ მამაც მეზღვაურს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, შვიდ მეზღვაურს ეს წოდება ორჯერ მიენიჭა. 350 ათასზე მეტი მეზღვაური დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

მზიური საქართველოს ათასობით პატრიოტი სსრ კავშირის ყველა ხალხის და უწინარეს ყოვლისა დიდი რუსი ხალხის მხარდამხარ გმირულად იბრძოდა საძულველი მტრის წინააღმდეგ. ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც ცნობილია სახელები უშიშარი ქართველი მეომრების იოსელიანის, გურგენიძის, წურწუმიასი, გეგეშიძისა, რომლებსაც გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭათ.

ქართველი ხალხი, ზრუნავს რა სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის, აქტიურ მონაწილეობას იღებს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქმიანობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებენ ყველა სახელმწიფოსთან მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას. ამას მოითხოვს არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს ხალხთა ინტერესები.

მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირი თანდათანობით ამცირებს თავის არმიას და მზად არის კიდევ შეამციროს იგი, უოლსტრიტელი აგრესორები თანდათანობით ზრდიან თავიანთი არმიის რაოდენობას და განუწყვეტლივ აიარაღებენ მას უახლესი ტექნიკით. საკმარისია ითქვას, რომ როცა ევროპაში უკვე მძვინვარებდა მეორე მსოფლიო ომი და ფაშისტური გერმანიის მმართველებმა და მისმა მოკავშირე იაპონიამ აშკარად განაცხადეს, რომ განზრახული აქვთ გაუსწორდნენ დასავლეთის სახელმწიფოებს, ამერიკის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში იყო სულ 479.929 ჯარისკაცი, მატროსი და ოფიცერი. ამჟამად, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებს არც ერთი მხრიდან არ ემუქრებათ ომის საფრთხე, მათ თოფქვეშ ჰყავთ სამ მილიონიანი არმია, ხოლო მათი სამხედრო ხარჯები მთელი წლიური შემოსავლის 80 პროცენტს შეადგენს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სხვის ტერიტორიაზე ააშენეს მრავალი სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზა და კვლავ აშენებენ მათ, რითაც საფრთხეს უქმნიან სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს.

იმპერიალისტთა მისწრაფება მსოფლიო ბატონობის დამყარებისადმი და მათი მხეცური სიძულვილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხებისადმი, მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტების გაბერვა და გამალებული შეიარაღება გვაიძულებს ჩვენ და ჩვენს შეიარაღებულ ძალებს მუდამ ვიჩენდეთ სიფხიზლეს და მზად ვიყოთ ყოველ დროს გამანადგურებელი პასუხი გავცეთ აგრესორებს.

საბჭოთა სამხედრო მეზღვაურები ენერგიის დაუზოგავად ეუფლებიან პირველხარისხოვან საბრძოლო ტექნიკას, მზად არიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ყოველი საბრძოლო ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის.

გენერალ-მაიორი
გ. ყურაშვილი.

უახლოეს წლეგში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ

მეცხოველეობის მეჯი პროდუქტები ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე

დ. გელაშვილი,
საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის გარეუბნის რაიკომის მდივანი.

★

ჩვენი ქვეყნის მშრომელები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი მზრუნველობის შედეგად სერიოზულ მუშაობას ეწევიან პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თავიანთ მამართვაში სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი მოგვიწოდებენ, რომ 1957 წელი გავხადოთ გარდატეხის წელი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებაში და, უწინარეს ყოვლისა, მარცვლეულის, მერძეული და განსაკუთრებით სახორცე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაწეულმა სერიოზულმა მუშაობამ და ამის შედეგად მოპოვებულმა მიღწევებმა სოფლის მეურნეობის წინაშე კიდევ უფრო მეტი, სერიოზული ამოცანები დააყენა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. ჩვენი საბრძოლო ამოცანაა უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ამ ამოცანის განხორციელება მოითხოვს მთელი ჩვენი პარტიულ-პოლიტიკური, პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესებას.

გარეუბნის რაიონში მეცხოველეობას დიდი ხვედრითი წონა აქვს. საკმარისია ითქვას, რომ გასულ წელს რაიონის კოლმეურნეობების მთელი შემოსავლის 53 პროცენტი მეცხოველეობაზე მოდის.

უკანასკნელი წლების მანძილზე მეცხოველეობა საგრძნობლად განვითარდა. გაიზარდა დედა-პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა ძირითადად საკუთარი ნამატის ხარჯზე, დიდად შემცირდა ბერწიანობა და პირუტყვის სიკვდილიანობის შემთხვევები. შესამჩნევად გადიდდა ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. შარშან რაიონის კოლმეურნეობებმა ერთ საფურაქე ძროხაზე საშუალოდ 1.391 ლიტრი რძე მიიღეს, რაც გეგმაზე 156 ლიტრით მეტია, ხოლო წინა წელთან შედარებით — 223 ლიტრით მეტი.

ჩაებნენ რა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წელს უფრო კარგ მაჩვენებლებს აღწევენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში. 1 ივლისის მდგომარეობით კოლმეურნეობებში ერთ საფურაქე ძროხაზე მოწველილია 768 ლიტრი რძე, წლიური გეგმა კი 1.221 ლიტრს ითვალისწინებს. კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს მიიღონ ერთ ძროხაზე საშუალოდ 1.300 ლიტრი რძე, და ეს ვალდებულება გადამეტებით იქნება შესრულებული.

რძის მიღებაში თავი ისახელეს მარტყოფის, ნორიოს, გლდანის, კაქითისა და ზოგიერთმა სხვა კოლმეურნეობებმა. მარტყოფის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას 1 ივლისისთვის საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე მოწველილი აქვს 995 ლიტრი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.200 ლიტრისა და წელს მიღებული აქვს 53.800 ლიტრით მეტი რძე, ვიდრე გასულ წელს. ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ თვითეულ საფურაქე ძროხაზე საშუალოდ უკვე მიიღო 865 ლიტრი რძე, გეგმა კი 1.450 ლიტრის მიღებას ითვალისწინებს. მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც თითო საფურაქე ძროხაზე 825 ლიტრი რძე მიიღო ნაცვლად 1.350 ლიტრისა, 6 თვეში 63.123 ლიტრით მეტი რძე აწარმოვა, ვიდრე გასულ წელს, სოფელ გლდანის კოლმეურნეობამ — 63.871 კილოგრამით მეტი და სხვ. კარგ მაჩვენებლებს აღწევს რძის წარმოების საქმეში კრწანისის საბჭოთა მეურნეობა.

რაიონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეებმა წარმატებით შეასრულეს მიმდინარე ნახევარი წლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები. ხორცის დამზადების დავალება განაღდებულია 106,1 პროცენტით, რძისა — 110,7, კვერცხისა — 100,7, მატყლისა — 129,2, ადრეული ბოსტნეულის დამზადებისა — 105,9 პროცენტით. წელს რაიონის კოლმეურნეობები გაასუქებენ და სახელმწიფოს ჩააბარებენ 2.600 სულ ღორს.

რაიონის კოლმეურნე გლეხობამ, საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებმა, რაიონის მშრომელებმა ფართოდ გააჩაღეს მუშაობა იმისათვის, რომ მეტი ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები მიიღონ ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე.

კოლმეურნეობებმა გადახედეს თავიანთ რეზერვებს, შესაძლებლობებს და ვალდებულება იკისრეს: **წელს ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მიიღონ 34,6 ცენტნერი ხორცი, ხოლო 1960 წელს — 45,5 ცენტნერი ნაცვლად 1956 წელს მიღებული 26 ცენტნერისა. კოლმეურნეობები 1957 წელს მიიღებენ 103 ცენტნერ რძეს, ხოლო 1960 წელს — 151 ცენტნერს. ცალკეულმა კოლმეურნეობებმა უფრო გაღიღებული ვალდებულებები აიღეს. მაგალითად, ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე წელს მიიღოს 40 ცენტნერი ხორცი, ხოლო 1960 წელს — 75 ცენტნერი, 1957 წელს აწარმოოს 150 ცენტნერი რძე, ხოლო 1960 წელს — 300 ცენტნერი. გლდანის „საბჭოთა საქართველოს“ სახელობის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მიიღოს 41 ცენტნერი ხორცი, ხოლო 1960 წელს — 50 ცენტნერი, წელს აწარმოოს 160 ცენტნერი რძე, 1960 წელს კი — 220 ცენტნერი.**

რაიონის პარტიულ ორგანიზაციას კარგად აქვს შეგნებული, რომ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა და მისი პროდუქტიულობის ზრდა დამოკიდებულია პირუტყვის მტკიცე საკვები ბაზით უზრუნველყოფაზე. ამ მიზნით წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სამინდი დიდ ფართობებზე დათესეს. 1.240 ჰექტარზე ნათესი სამინდი ჩადებული იქნება სილოსად. გათვალისწინებულია წელს კოლმეურნეობებში 13.600 ტონა სილოსი დამზადდეს. ახლა მიმდინარეობს ნათესი ბალახების აღება და მათი მიზანდა პირუტყვის სადგომებთან. წელს ნაწვერალზე 600 ჰექტარამდე სამინდი დაითესება.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. თელეთის, ავჭალის და კუმისის კოლმეურნეობებმა წელს უფრო ნაკლები რძე მიიღეს, ვიდრე შარშან. ეს იმის შედეგია, რომ აღნიშნული კოლმეურნეობების გამგეობები და საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციები ამ მიმართულებით ნაკლებად მუშაობენ. თვითეულ საფურაქე ძროხაზე შარშანდელთან შედარებით წელს ნაკლები რძე მიიღეს ლისის, მსხალდიდის, ბევრეთასა და ზოგიერთმა სხვა კოლმეურნეობებმა.

კოლმეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სილოსის ჩადება. პარტიის რაიონული კომიტეტი მიიღებს საჭირო ზომებს და ჩამორჩენას უახლოეს დროში გამოასწორებს.

გარეუბნის რაიონის მშრომელები არ დაიშურებენ ძალასა და ენერგიას, რომ წარმატებით გაანაღდონ შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები. ამით ისინი თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

მოწინავეთა გამოცდილება—მასებს

გზა მაღალი სანარმოო მაჩვენებლებისაკენ



ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში, სადაც უკვე მეცხრე წელიწადი ვმუშაობ მეავტომატედ, ხშირად მეკითხებიან ამხანაგები და სხვა ქარხნებიდან მომდის შეკითხვები, თუ როგორ ვახერხებ მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევას, სხვებზე უფრო დაძაბულად რომ არ ვმუშაობ, გეგმების შესრულებაში კი უკეთესი მაჩვენებლები მაქვს.

საერთოდ ვფიქრობ, რომ თუ კაცი დაინტერესდება თავისი პროფესიული ოსტატობის ამაღლებით, თუ ფიზიკური ენერგიის გარდა იგი საქმისათვის გონებრივ ენერგიას არ დაიშურებს, მეტს იფიქრებს თავისი მუშაობის ხერხების გაუმჯობესებაზე, არ შეიძლება მან წარმატებას არ მიაღწიოს. რასაკვირველია, უფრო გაუადვილდება კაცს ოსტატობის ამაღლება, თუ უნარიანად გამოიყენებს და გადაიღებს სხვების გამოცდილებას. ამიტომ აქ ცოტას შევჩერდები ჩემი გამოცდილების განმარტებაზე.

წინათ ხარკოვის ს. ორჯონიკიძის სახელობის სატრაქტორო ქარხანაში ვმუშაობდი მეავტომატედ. არმიიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი. მეავტომატის პროფესიამ ძალიან დამაინტერესა. სანამ ქარხანაში სამუშაოდ მიმიღებდნენ, გავეცანი ამ ქარხანაშივე ყველა პროფესიის მუშათა შრომის ხასიათს. აღმოჩნდა, რომ აქ განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა საავტომატო საამქროს კოლექტივი, რომელსაც ყველაზე მეტი რაოდენობით ჰყავდა მოწინავე ადამიანები და თანაც მეავტომატის მუშაობა უფრო მიმზიდველი მეჩვენა, მიმიღეს შეგირდად. ვმუშაობდი, ვაკვირდებოდი ჩემი სახელოვანი მასწავლებლების მუშაობას და ვცდილობდი მემუშავნა ისე, როგორც ისინი მუშაობდნენ, მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ, როცა უკვე კვალიფიციურ მუშად ვითვლებოდი, მივხვდი ჩემი მასწავლებლების წარმატების „საიდუმლოებას“.

მართალია, ისინი ამ „საიდუმლოებას“ განმიმარტავდნენ, მეუბნებოდნენ, როგორ უნდა მემუშავნა, რისთვის მომექცია ყურადღება, მაგრამ სიტყვიერი განმარტებით ყველაფერს ვერ ვხვდებოდი, სანამ საქმის ვითარებამ არ მიმახვედრა.

მეავტომატის მუშაობაში მთავარია იფიქრო იმაზე, რა ხერხის გამოყენება სჯობს ამა თუ იმ კონკრეტული დავალების შესასრულებლად. შესაძლოა მუშას პირველად შერჩეულმა ხერხმა კარგი შედეგი არ მისცეს. მაშინ საჭიროა გამოარკვიო, რატომ ვერ მიიღე ის შედეგი, რომელსაც მოელოდი, რა არის ამის მიზეზი. თუ კაცი ყოველი კონკრეტული დავალების შესრულებას ასე მიუდგება, დაწვრილებით შეისწავლის საქმეს, ბოლოს უთუოდ გამამარჯვებს. ამ ძიებაში, წარუმატებლობის მიზეზების გამორკვევაში მუშას მრავალი სიახლის „აღმოჩენა“ უხდება, მრავალი ახალი რაციონალიზატორული წინადადების იდეა აღეძვრის.

იყო ასეთი შემთხვევა: ავტომატური ჩარხის ხრახნსაჭრელის დამჭერი მოწყობილობა ხშირად მტყუნობდა, დეტალს ვერ იჭერდა და ეს მეავტომატთა გაცდენას იწვევდა. მიზნად დავიხახე გამეგო, რატომ ვერ იჭერდა ეს მოწყობილობა დეტალს. მივაგენი მიზეზს, მაგრამ მის სალიკვიდაციოდ საჭირო შეიქნა მოწყობილობის კონსტრუქციული შეცვლა, ახალი სამარჯვის გაკეთება. ბოლოს მივაგენი სათანადო კონსტრუქციასაც. „გავაკეთე [illegible] ...“ [illegible] ... სისტემის დამჭერი გავაკეთა. მოვარგეთ ეს დამჭერი ავტომატს, და საქმე ერთბაშად გამოსწორდა.

სწორედ ამ წესით მუშაობამ გამხადა ცხრამეტი რაციონალიზატორული წინადადების ავტორი, მომცა იმის საშუალება, რომ საწარმოო დავალებები ყოველთვის გადაჭარბებით შემეხრულებინა.

ამჟამად უკვე ვამთავრებ პროდუქციის გამოშვებას 1960 წლის გეგმის ანგარიშში და მალე შევუდგები მუშაობას მეშვიდე ხუთწლედის ანგარიშში პროდუქციის გამოშვებისათვის.

მეავტომატის მუშაობაში მთავარია ის, რომ დანადგარი მუდამ კარგად გაწყობილი და გამართული იყოს. ამისათვის კი საჭიროა მეავტომატეს თვითონ შეეძლოს თავისი დანადგარის კარგად გაწყობა, მისი მოვლა-პატრონობა, იცოდეს ჩარხის მუშაობის პრინციპები, კონსტრუქციული თავისებურებები. ამიტომ არის, რომ ახალი კადრებს მომზადებისას ჩემი მოწაფეების განსაკუთრებულ ყურადღებას ამ მიმართულებით ვამახვილებ.

ჩვენს ქარხანაში ნიჭიერი, უნარიანი ახალგაზრდები გვყავს. ბევრ მათგანს შეეძლოს ავტომატურ ჩარხებზე მუშაობა, ხოლო 11 ახალგაზრდა მეავტომატე ისე გავწაფე საქმეში, რომ ახლა არა მარტო მაღალკვალიფიციურად მუშაობენ ჩარხზე, არამედ ჩარხების საუკეთესო ამწყობებადაც ითვლებიან. ასეთები არიან გ. ფირცხალაშვილი, ა. მეფარიშვილი, კ. აბდრაიძე. საამაყოდ მიმაჩნია, რომ ჩემს გვერდით საუკეთესოდ მუშაობენ და თავის საქმეს სრულყოფილად დაუფლებული არიან მეავტომატეები — ვ. სულაქველიძე, პ. იჩქიტიძე, ლ. ლიმარევა და სხვები, რომლებმაც მარტო გასული წლის განმავლობაში ორნახევარი წლის გეგმა გაანაღდეს და ახლა პროდუქციას 1959 წლის ანგარიშში იძლევიან.

ტ. იჩქიტიძე,
ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ავტომატების საამქროს ამწყობი.

• • •

სურათზე: ტ. იჩქიტიძე მუშაობის დროს.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობა

მოსავალი აღებულია 139.052 ჰექტარზე

მოსავლის აღების სამუშაოები გადამწყვეტ ფაზაში შედის. ფასობრივად მიმდინარეობს პურეულის მკა. 10 ივლისისათვის რესპუბლიკაში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი აღებული იყო 139.052 ჰექტარზე ანუ გეგმის 39,8 პროცენტი. შარშან ამავე პერიოდისათვის მოსავლის აღების გეგმა შესრულებული იყო 15,4 პროცენტით.

გურჯაანის რაიონში პურეულის მკის დავალება შესრულებულია 84,2 პროცენტით, კაჭრეთის — 58,7, სიღნაღის — 89,7, წითელწყაროს — 61,5, თელავის — 60,9, ახმეტის — 67, ყვარლის — 78,6, ლაგოდეხის — 75,2, გარეუბნის — 48,7, მცხეთის — 42,9, გარდაბნის — 93,4, მარნეულის — 56,7, საგარეჯოს — 52,7, ბოლნისის — 52,8, თეთრი წყაროს რაიონში — 36,7 პროცენტით.

მოსავლის აღებას შეუდგნენ ქარელის, გორის, კასპის, დუშეთის, დმანისის რაიონების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობები.

პირუტყვის საკვების დამზადება

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა გაიჩაღეს პირუტყვის საკვების დამზადების სამუშაოები. 10 ივლისისათვის ბუნებრივი ბალახები გათიბული იყო 34.077 ჰექტარზე, გეგმის 16,1 პროცენტი, ნათესი ბალახები კი აღებულია 11.481 ჰექტარი, რაც დავალების 24,7 პროცენტს შეადგენს. ბოგდანოვკის რაიონში ბუნებრივი ბალახი უნდა გათიბონ 13.723 ჰექტარი, ხოლო ეს სამუშაო არც კი აქვთ დაწყებული. მსგავსი მდგომარეობაა წალენჯის, ბორჯომის, თიანეთის, ყაზბეგის რაიონებში.

ახალციხის რაიონში ბუნებრივი ბალახების თიბვის დავალება შესრულებულია 29,1 პროცენტით, ასპინძის — 15, გორის — 19,5, დუშეთის — 28,6, თეთრი წყაროს — 26, კაჭრეთის — 25,6, სიღნაღის — 35,8, წითელწყაროს — 58,5, მარნეულის — 48,9, ბოლნისის — 56,7, საგარეჯოს — 42,7, დმანისის რაიონში — 7,9, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 28,3 პროცენტით.

შეტეხილია 6.826.833 ზონარმეტრი თამბაქო

10 ივლისისათვის თამბაქოს შეტეხის დავალება რესპუბლიკაში შესრულებული იყო 4,4 პროცენტით. შეტეხილია 6.826.833 ზონარმეტრი თამბაქო.

ლაგოდეხის რაიონში შეტეხეს 1.494.277 ზონარმეტრი თამბაქო, მარნეულის — 1.918.795, ბოლნისის რაიონში — 245.936, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 2.764.200, ხოლო აჭარის ასს რესპუბლიკაში — 403.625 ზონარმეტრი თამბაქო.

გურჯაანი. (საკ. კორ.). გურჯაანის საკონსერვო ქარხანამ, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული, ნახევარი წლის დავალება ხუთთვენახევარში შეასრულა. მეკონსერვეებმა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით 370 ათასი მანეთი მოგება მისცეს სახელმწიფოს.

შარშანდელთან შედარებით გურჯაანელებმა წელს 15 დღით ადრე დაიწყეს ხილის გადამუშავების სეზონი. გამოშვებულია პირველი 50 ათასი პირობითი ქილა ბლის მურაბა და კომპოტი. მუშები ანგელინა ასკილაშვილი, ნინო სტარჩაკი, ოვლიტა ფილაური დღიურ დავალებას 140-150 პროცენტით ასრულებენ.

— წელს ხილის საუკეთესო მოსავალია — განაცხადა ქარხნის დირექტორმა ვლ. ზავრაშვილმა, — ყველა შესაძლებლობა გვაქვს, რომ წლიური გეგმის გადამეტებით სამასი ათასი პირობითი ქილა კონსერვი გამოვუშვათ.

• • •

სურათზე: ბრიგადირი ს. ბაღდასაროვა (მარცხნივ) და ინჟინერი ზ. სტებლინა ამოწმებენ შზა პროდუქციის ხარისხს.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

ქუთაისის ახლოს სოფელ გეგუთში შექმნილია მებოსტნეობისა და მერძევეობის ახალი საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ქუთაისის მცხოვრებთ და ახლომახლო კურორტებს ამარაგებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. სურათზე: გეგუთის საბჭოთა მეურნეობის ფერმის ახალი შენობა.

ფოტო პ. ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).

პროფკავშირებში რევოლუციური გავლენის გაძლიერება

ბოლშევიკური პარტია დიდი ლენინის მეთაურობით, ემზადებოდა რა პროლეტარულ რევოლუციის განხორციელებისათვის, დიდ მუშაობას ეწეოდა მასობრივ ორგანიზაციებში—პროფკავშირებში, ახალგაზრდობაში, ქალთა შორის. პარტია ცდილობდა ჩამოეშორებინა ისინი მენშევიკებისა და ესერების გავლენისაგან და დაერთო პროლეტარული რევოლუციისათვის, ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მუშაობა წარმოებდა პროფკავშირებში.

მუშათა პროფკავშირული ორგანიზაციები რუსეთში ჯერ კიდევ ორმოცდაათი წლის წინათ აღმოცენდნენ. ისინი პარტიის ხელმძღვანელობით მედგრად გამოდიოდნენ ცარიზმის, კაპიტალისტების წინააღმდეგ, რითაც მშრომელთა ღრმა სიყვარული და სიმპათია დაიმსახურეს. რეაქციისა და ომის წლებში პროფკავშირები განადგურებულ იქნენ.

მაგრამ 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ დაიწყო კავშირების აღდგენა, ახალი პროფკავშირული ორგანიზაციების შექმნა, რომლებშიც მასობრივად ერთიანდებოდნენ მუშები. 1917 წლის ივლისისათვის რუსეთში შექმნილი პროფკავშირები უკვე მილიონნახევარ კაცს აერთიანებდნენ.

რევოლუციური პროფკავშირები იბრძოდნენ წარმოებისადმი მუშათა კონტროლის განხორციელებისათვის, ხელფასის მომატებისათვის, 8 საათის სამუშაო დღისათვის, მუშების სამუშაოთი უზრუნველყოფისათვის, მათი განათლებისათვის, საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის და სხვ.

ესერები და მენშევიკები ცდილობდნენ თავიანთ გავლენაში მოექციათ პროფკავშირები, აეცდინათ ისინი რევოლუციური ბრძოლის გზიდან და დაემორჩილებინათ ბურჟუაზიული დროებითი მთავრობისათვის. მაგრამ ისინი ამას ვერ აღწევდნენ. პეტროგრადში პირველი ივლისის (18 ივნისის) დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო ნახევარ მილიონზე მეტმა მუშამ და ჯარისკაცმა, რომლებიც გამოვიდნენ ბოლშევიკური ლოზუნგებით კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის წინააღმდეგ, მტკიცედ მოითხოვეს სისხლისმღვრელი ომის შეწყვეტა და სხვ.

თავიდან რომ აეცილებინათ მუშათა გამოსვლები, კაპიტალისტები ხურავდნენ საწარმოებს და ქუჩაში ერეკებოდნენ მუშებს. მარტო პეტროგრადში მაისსა და ივნისში დაიხურა 233 საწარმო, საიდანაც ქუჩაში გარეკეს 47 ათასზე მეტი მუშა. რევოლუციური პროფკავშირები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ კაპიტალისტებს და მათ მფარველ ბურჟუაზიულ დროებით მთავრობას.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში ფართო გაქანება ჰპოვა პროფესიულმა მოძრაობამ. ამის შესახებ საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებში ნათქვამია:

„მუშების ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა თებერვლის რევოლუციის შემდეგ არ გაუმჯობესებულა. მშრომელთა ინტერესების დაცვა უნდა ეკისრათ პროფესიულ კავშირებს, რომლებმაც ცარიზმის დამხობის შემდეგ სწრაფად იწყეს აღმოცენება და თავიანთი საქმიანობის გაფართოება. თბილისში უკვე მაისში მოეწყო ცენტრალური ბიურო პროფკავშირებისა, რომელთა რიცხვმა იმ დროისათვის 31-ს მიაღწია.

მუშაობდნენ რა პროფესიულ ორგანიზაციებში, ბოლშევიკებმა უპირატეს გავლენას მიაღწიეს მელითონელთა, ელექტრიკოსთა, მეტყავეთა, მეთამბაქოეთა კავშირებში. ძლიერი პროფესიული ორგანიზაციები შეიქმნა ქუთაისში, ჭიათურასა და ფოთში. სოხუმში შეიქმნა მშენებელ მუშათა, თამბაქოს პლანტაციების მუშათა და სხვა პროფკავშირები. ბათუმში — მელითონელთა, ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა, ნავსადგურის მუშათა და სხვა კავშირები. მათი გამგეობები ძირითადად ბოლშევიკებისაგან შედგებოდა. მათი მეშვეობით ხორციელდებოდა ბოლშევიკური ხელმძღვანელობა ბათუმის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოსადმი, მისი ბეჭდვითი ორგანო იყო გაზეთი „გოლოს ტრუდა“.

რევოლუციის მხარეზე კავშირის წევრების დარაზმვის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროფკავშირების III სრულიად რუსეთის კონფერენციას, რომელიც გაიხსნა 4 ივლისს (21 ივნისს) პეტროგრადში. კონფერენციაზე ბოლშევიკები იბრძოდნენ იმისათვის, რომ პროფკავშირები პროლეტარიატის მასობრივ, მებრძოლ ორგანიზაციად გადაექცეთ.

ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პროფკავშირებს პროლეტარული რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების საქმეში. იგი პროფესიულ კავშირთა III სრულიად რუსეთის კონფერენციის დღეებში მოითხოვდა შექმნილიყო რუსეთის სოფლის მუშათა კავშირი, რასაც უძღვნა სპეციალური სტატიები: „რუსეთის სოფლის მუშათა კავშირის დაარსების საჭიროების შესახებ“. ეს სტატიები დაიბეჭდა 1917 წლის 7 და 8 ივლისს გაზეთ „პრავდაში“. მათში ლენინი აღნიშნავდა, რომ რუსეთის სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშათა კლასი, ყველაზე ექსპლოატირებული, ყველაზე ღარიბად მცხოვრები, ყველაზე დაქსაქსული და დაბეჩავებული, თითქოს მივიწყებულია. რუსეთის პროლეტარიატის მოწინავე რაზმის — მრეწველობის მუშათა პროფესიული კავშირების—უდიდესი და აუცილებელი მოვალეობაა დაეხმარონ ფიავინთ ძმებს, სოფლის მუშებს.

შემდეგ ლენინი წერდა:

„ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სწორედ რევოლუციურ დროს, როდესაც მშრომელ მასებში საერთოდ, მუშებში განსაკუთრებით, ძლიერია მისწრაფება, რომ გამოიჩინონ თავი, გაიკვლიონ გზა, არ დაუშვან ცხოვრების ახლებურად მოწყობა ისე, თუ თვით მუშებმა დამოუკიდებლად არ გადაწყვიტეს შრომის საკითხები, — სწორედ ასეთ დროს პროფესიული კავშირები არ ჩაიკეტებიან ვიწრო ამჭრულ ინტერესებში, არ დაივიწყებენ თავიანთ უფრო სუსტ ძმებს, სოფლის მუშებს, არამედ მთელი ენერგიით დაეხმარებიან მათ რუსეთის სოფლის მუშათა კავშირის დაარსებით“.

ბოლშევიკური პარტიის მიერ პროფკავშირებში გაჩაღებულ მუშაობას თავისი ბრწყინვალე შედეგები მოჰქონდა. პროფკავშირული ორგანიზაციები გადაჭრით დგებოდნენ ბოლშევიკების მხარეზე, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სოციალისტური რევოლუციის მომზადებაში.

ქარელის რაიონის ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში ვაშლის უხვ მოსავალს მოელიან. **სურათზე:** უბნის აგრონომი დ. მუმლაძე (მარცხნივ) და პირველი ბრიგადის ბრიგადირი ო. ხომეზური ათვალიერებენ ხეხილის ბაღს.

ფოტო ს. ოდანოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

გვიხმობს, გვეძახის!..

ყამირებისკენ გული იჩქარის,
წინ ბევრი გზაა, ბევრი ტყე-ველი.
ქვეყნის ბარაქა, ძმებო, იქ არის,
დოლეველი, დაუტბველი.
იქ ზღვა ბუბუნებს საკვირველების,
თავთავს თავთავი თავზე ევლება
და სილურჯეში ჩანან ველები,
ბრიალ-ბრიალა ცისარტყელებად.
რძე ჩაეფონნა ყამირს გულამდე,
ცამ აიკრიფა ღრუბლის გუნდები.
ომი იყო და ომში ვბრუნავდით,
მკის დრო არის და მკაში ვხურდებით.
მივალთ... ყველა გზა შუქში მაღლდება
მზეზე გაფენილ მინდვრის ფარჩებად.
ამ ვაჟკაცობას, ამ თავდადებას,
სულ დღეგრძელობა და გამარჯვება.
თითქოს ელვებით ზეცა დახაზეს,
ვერცხლი ტბორებად მიმოფენილია.
ახლა უსაზღვროდ გაშლილ ტრამალზე
ოქროს მტვერია, ოქროს ბუღია.
დილა, რიჟრაჟის კართა შემღები,
დგება ირიფერ თვალთა კრიალით...
და ემატება ბეღლს ბეღელი
და მწიფე ხორბლს გაექვს ჩხრიალი.
სიო უღელელი და გზნაცვალი,
ჩამთბარ თავთუხის სურნელს მოღენის.
ჩაქარვულია ყველა მარცვალი,
ვერცხლით ნაჭედი,' ცერის ოდენი.
მაშ, ოფლში ჩალღვეს კვლავაც სხეული,
ვის შერგებია, რაც ნაარია.
ისევ ყიონნა დავცეთ ჩვეული,
იარ, დამკვრელო ჩვენო არმეავ...
ისევ თვალუწვდენ ველზე კარვები
დასხდნენ ვეება ყაყაჩოებად;
ისევ დასცვივდეს თავთუხს ქარვები
და ცისარტყელას ფრთენი მოეგას.
ყამირებისკენ!... გვიხმო ქალაქმა,
ყამირებისკენ!.. გვიხმობს სოფელი.
ძმებო, იქაა ჩვენი ბარაქა,
ქვეყნის ბარაქა განუყოფელი.
ძმებო, ხამელად ველი მზად არი,
პური გვეძახის, მაგრამ რა პური;
მიწა გვეძახის — ოქროდ დამდნარი,
ოფლით მორწყული, ოფლდანაკური.
სუნთქვა შეეკრა ხორშაკს უხილავს,
თავი იყარეს პურის ყანებმა.
ყამირებისკენ!.. ისმის ქუხილად
და ეხო ეხოს ეხმიანება.

ვასილ გვეტაძე.

საიუბილეო საღამო

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში გაიმართა ცნობილი ბელორუსი მწერლის იანკა კუპალას დაბადების 75 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პოეტმა ალიო მირცხულავამ. მოხსენება იანკა კუპალას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხა ახალგაზრდა პოეტმა თამაზ ჭილაძემ.

იანკა კუპალას ლექსების საკუთარი თარგმანები ქართულ ენაზე წაიკითხეს გ. კალანდაძემ, ნ. გურგენიძემ, ვ. ლაფერაშვილმა, ლ. გეგეჭკორმა და ა. ბეგაშვილმა.

ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილება სახალხო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

სოფია, 12 ივლისი. (საქდესი). გაზეთებში გამოქვეყნდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სახალხო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისა და მშრომელთა ინიციატივის განვითარების შესახებ“.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოს, ნათქვამია დადგენილებაში, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის მიხედვით მიაჩნიათ, რომ საჭიროა გაფართოვდეს სახალხო საბჭოების უფლებები, სახალხო საბჭოების ხელმძღვანელობასა და კონტროლს დაექვემდებაროს ადგილობრივი მრეწველობის მთელი რიგი საწარმოები.

დადგენილება „ფართოებს ადგილობრივი სახალხო საბჭოების უფლებებს ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენასა და საკუთარ ღონისძიებათა დაფინანსებაში, ადგილობრივი მრეწველობის, საცალო ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების დაგეგმვაში.

დასავლეთ გერმანიისა და საფრანგეთის მშრომელთა მოქმედების ერთიანობისათვის

პარიზი, 12 ივლისი. (საქდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, პარიზში გაიმართა შრომის საყოველთაო კონფედერაციისა და დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც განიხილა ორივე ქვეყნის მუშათა მოძრაობის საკითხები. თათბირმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ „აზრთა ფართო და ძლური გაზიარების შემდეგ პროფკავშირულმა აქტივისტებმა ერთსულოვნად აღიარეს, რომ საჭიროა გაერთიანდეს გერმანიისა და საფრანგეთის მშრომელთა ღონისძიებანი, რათა:

ჯერ-ერთი, ბოლო მოეღოს სასტიკ ექსპლოატაციას კაპიტალისტური მონოპოლიების მხრივ და მიღწეულ იქნას მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

მეორე, ხელი შეეშალოს გამალებულ შეიარაღებას, ომის აღვირში, ატომგულის გამოცდას და მიღწეულ იქნას განიარაღება, ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფა, ატომის ენერგიის გამოყენება მარტო მშვიდობიანი მიზნით და ხალხებისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭება.

მესამე, მხილებულ იქნას ბურჟუაზიული იდეოლოგია, რომელიც ცდილობს შეაფერხოს კლასობრივი ბრძოლა“.

თათბირის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ „ორივე ქვეყნის მუშათა კლასის ურთიერთობის განმტკიცებისათვის. რაც საფრანგეთისა და გერმანიის ხალხების დაახლოებისა და მეგობრობის მთავარი პირობაა, ევროპაში მშვიდობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია“.

ანგისაბჭოთა შეკრება ბრიუსელში

ბრიუსელი, 12 ივლისი. (საქდესი). ბრიუსელში სოციალისტური ახალგაზრდობის საერთაშორისო კავშირის ხელმძღვანელობას ინიციატივით მიმდინარეობს. რეკომენდერთა შეერება, რომელიც თავს უწოდებს საერთაშორისო სემინარს თემაზე „აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობა“. შეკრებაში მონაწილეობენ ომამდელი ემიგრაციის სპეციალურად მიწვეული წარმომადგენლები ბალტიისპირეთის ყოფილი ბურჟუაზიული სახელმწიფოებიდან, აგრეთვე ომისშემდგომი ემიგრაციისა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან. სემინარს ესწრებიან და საბჭოთა ახალგაზრდობისა და მთელი საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ ბინძურ ცილისმწამებლურ განცხადებებს აკეთებენ საამბობლოს მოღალატენი, რომლებიც საბჭოთა კავშირიდან გაიქცნენ.

საგულისხმოა, რომ ეს ამაკრა ანტისაბჭოთა შეკრება მიმდინარეობს არა მარტო ბელგიის მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელთა წაყრუებით, არამედ მათი მონაწილეობითაც. სემინარზე სიტყვები წარმოთქვეს და მოხსენებები გააკეთეს ბელგიის საგანთლების მინისტრმა კოლარმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა ვერმეილენმა.

ბელგიის პროგრესულ წრეებში გაკვირვებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ იმ პერიოდში, როცა ბელგიის საზოგადოებრიობის სულ უფრო ფართო ფენები ცდილობენ ხელი შეუწყონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და სურთ მშვიდობიანად და მეგობრულად იცხოვრონ სხვა ხალხებთან, ბელგიის მინისტრები ისეთ შეკრებაში მონაწილეობენ, რომლის მოწყობაც სრულიადაც ვერ შეუწყობს ხელს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას.

კონტრრევოლუციონერები მიცემული არიან პასუხისგებაში

ბუდაპეშტი, 12 ივლისი. (საკდესი). აქ დაიწყო 14 კონტრრევოლუციონერი ტერორისტის გასამართლება, რომლებსაც მეთაურობდა ყოფილი ჰორტისტი ოფიცერი იოეეფ ბალოგი. ყველა მათგანს ბრალდება საქმიანობა სახალხო-დემოკრატიული წყობილების დასამხობად, ტერორისტული აქტების და სხვა დანაშაულთა ჩადენა.

კონტრრევოლუციური ამბების დროს ბრალდებული აქტიურად მონაწილეობდნენ ამბოხებაში. 4 ნოემბრის შემდეგ ბანდის მონაწილენი ეწეოდნენ ტერორს, ავრცელებდნენ მთავრობის საწინააღმდეგო ფურცლებსა და პროვოკაციულ ხმებს.

კონტრრევოლუციური ჯგუფის მონაწილეთა უმრავლესობას, რომელიც სასამართლოს წარუდგა, ნასამართლობა აქვს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მანიარალების კომისიის ქვეკომიტეტის სხდომა

ლონდონი, 12 ივლისი. (საქდესი). დღეს ლონდონში გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის მორიგი სხდომა.

შემდეგი სხდომა დანიშნულია 15 ივლისს.

ფრანგი პაციფისტები ხმას იმაღლებენ რესპუბლიკის დასაცავად

პარიზი, 12 ივლისი. (საკდესი). 14 ივლისის ეროვნული დღესასწაულის წინ ვითარება საფრანგეთში და განსაკუთრებით პარიზში სულ უფრო მწვავდება, რაც დაკავშირებულია ფაშისტური ელემენტების საქმიანობის აქტივიზაციასთან, და იმასთან, რომ დედაქალაქში ალჟირიდან რამდენიმე ათასი პარაშუტისტი უნდა ჩამოვიდეს სამხედრო პარადში მონაწილეობის მისაღებად. ეს პარაშუტისტები, როგორც ცნობილია, მონაწილეობდნენ ინდოჩინეთის, ალჟირისა და საფრანგეთის სხვა ზღვისგაღმა ტერიტორიების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაში, აგრეთვე აწყობდნენ თავდასხმას დემოკრატიული ორგანიზაციებისა და გაზეთების შენობებზე თვით საფრანგეთში. თუ რამდენად სერიოზული გახდა ვითარება პარიზში, ამას მემარჯვენე პრესაში გამოქვეყნებული ზოგიერთი ცნობებიც მოწმობს. მაგალითად, გაზეთი „ფიგარო“ არ გამორიცხავს იმას, რომ 14 ივლისს პარაშუტისტებმა შეიძლება „გამოავლინონ თავიანთი რისხვა“, ე. ი. გამოიყენონ ძალადობა ორგანიზაციებისა და ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ომი ალჟირში.

ასეთი საფრთხის წინაშე ფრანგი პატრიოტები ემზადებიან საკადრისი წინააღმდეგობა გაუწიონ ფაშისტთა ხრიკებს და გადაიქცინონ 14 ივლისი დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვის დღედ.

გამოვიდა რა გუშინ სენის დეპარტამენტის კომუნისტთა კრებაზე, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა მარსელ სერვენმა განაცხადა: „14 ივლისის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად 3 ათასი პარაშუტისტის პარიზში ჩამოსვლასთან დაკავშირებულია ფარული ფაშისტური პროვოკაციების მომზადება“. სერვენმა ყველა მუშასა და დემოკრატს მოუწოდა სიფხიზლისაკენ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს დემოკრატიული ორგანიზაციების შენობათა დაცვა, რათა, თუ საჭირო გახდა, სათანადო წინააღმდეგობა გაუწიონ ფაშისტ დამრბევლებს.

თადარიგის ოფიცერთა და უნტერ-ოფიცერთა რესპუბლიკური ფედერაციების ბიურომ გამოაქვეყნა სპეციალური კომუნიკე, რომელშიც აცხადებს, რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი „ყველაფერი გაკეთოს, რათა თავიდან აიცილოს ფაშიზმის დამყარება ჩვენს ქვეყანაში“, ამ ფედერაციების ბიურომ ყველა თავის წევრს მოუწოდა — გამოიჩინონ სიფხიზლე და ხელი შეუწყონ იმას, რომ 14 ივლისის დღესასწაულმა „რესპუბლიკის გამარჯვების“ ნიშნით ჩაიაროს.

ანალოგიური რეზოლუცია გამოაქვეყნა შრომის საყოველთაო კონფედერაციის მელითონელთა პროფკავშირების სენის დეპარტამენტის გაერთიანებამ. მან აგრეთვე მოუწოდა პარიზის ყველა მელითონელს მზად იყვნენ, „რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ფაშისტურ პროვოკაციებს, რომლებიც შეიძლება მოხდეს იმასთან დაკავშირებით, რომ პარიზში ჩამოვა 3 ათასი პარაშუტისტი“.

გარეუბნის რაიონის სოფელ დედლმში ცხოვრობენ 96 წლის გ. ი. მამუჩაშვილი, 94 წლის გ. პ. თოთარაშვილი, 93 წლის მ. გ. ქუცნიაშვილი. ამჟამად ისინი ეწევიან ნაყოფიერ მუშაობას მეგანდეობასა და მეფუტკრეობაში.

ინსტიტუტის მიერ ჩატარებული მუშაობის საფუძველზე მომზადდა საქართველოს უხუცეს ადამიანთა სტენდი, რომელიც დემონსტრირებული იყო ჰიგიენისტების, ეპიდემიოლოგების და ინფექციონისტების XIII საკავშირო ყრილობაზე ლენინგრადში.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს სსრ პავილიონში ეექსპონირებულია ინსტიტუტის მიერ მომზადებული ალბომი უხუცესი ადამიანების ფოტოსურათებით და ანოტაციებით, აგრეთვე რუკა უხუცეს ადამიანთა რესპუბლიკაში თავმოყრისა ზონების მიხედვით.

რას ლაპარაკობს თანამედროვე მეცნიერება მოხუცებულობის არსის შესახებ? მეცნიერება განიხილავს მოხუცებულობის ორ სახეს. ბუნებრივს, ფიზიოლოგიურს, ანუ ნორმალურ მოხუცებულობას, რომელიც დგება 100 წლის ასაკის შემდეგ, და ნაადრევ მოხუცებულობას, რომელიც დგება 60-70 წლის ასაკამდე.

ი. პ. პავლოვის მატერიალისტურმა სწავლებამ უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ ახსნა ნაადრევი მოხუცებულობის ნამდვილი მიზეზები. ორგანიზმის დაბერება დაკავშირებულია ნერვული სისტემის ნორმალური ფუნქციის მოშლასთან.

დიდი რუსი ფიზიოლოგი ი. პ. პავლოვი თვლიდა, რომ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა 100 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს, და თუ მრავალი ადამიანი ვერ აღწევს ამ ასაკს, მხოლოდ იმიტომ, რომ თავშეუკავებლობით, უწესრიგობით, საკუთარი ორგანიზმისადმი უდიერი დამოკიდებულებით ადამიანები ამცირებენ სიცოცხლის ნორმალურ ვადას.

ქართველი ფიზიოლოგი ი. რ. თარხნიშვილი გამოთქვამდა მტკიცე რწმენას, რომ „დადგება ბოლოს ისეთი დრო, როდესაც ხანგრძლივად ჩაითვლება ადამიანის სიცოცხლე 100 წელზე ადრე“.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის შედეგად შექმნილია ყველა პირობა ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის. თვითეულ ადამიანს შეუძლია შეაჩეროს დაბერების პროცესი, თუ იგი გონიერად გაუძღვება თავის ცხოვრებას.

ჯანმრთელობის ძირითადი საფუძველია შრომა. იგი წარმოადგენს საბჭოთა ადამიანის ცხოვრების მიზანსა და ხილამაზეს.

სპეციალობის მიხედვით ამორჩეული სამუშაო ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი ხტიმულია, მაგრამ ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის დაცულ უნდა იქნას შრომისა და დასვენების რეჟიმი. მთელი ორგანიზმი და მისი ფუნქციები უნდა მუშაობდეს თანაზომიერად. არც ერთი მათგანი არ შეიძლება გადავტვირთოთ დაუძლურებამდე. სიზარმაცე და უსაქმურობა ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის მტერია.

დიდი პროფილაქტიკური და სამკურნალო მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ ვარჯიშს და სპორტულ მეცადინეობას. სიხტემატური ვარჯიში, ამაგრებს რა კუნთოვან სისტემას და მამოძრავებელ აპარატს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და განამტკიცებს ნერვულ სისტემას. სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ კვებას. მარტო ხორცეულის ჭამას თავი უნდა ავარიდოთ, უმჯობესია ვიხმაროთ რძის და მცენარეული საკმელები (რძე, ხაკო, ყველი, ერბო, პური, ბოსტნეული, მაკარი და სხვ.). ზედმეტი გაძღომა ორგანიზმისათვის მავნეა.

ლენინის, მაგარი ხასმელების, თამბაქოს ბოროტად გამოყენება უარყოფითად მოქმედებს მთელ ორგანიზმზე და ნერვულ სისტემაზე.

ადამიანის ჯანმრთელობისათვის საჭიროა კანის სისუფთავე და მისი გამოწრთობა. ცივი წყლითა და ტლოთი დაზელა აღიზიანებს კანის ნერვულ დამოლებას, აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, ამაგრებს კუნთებს და ადამიანი მთელი დღის მანძილზე თავს მხნედ გრძნობს. როგორც წესი, კვირაში ერთხელ საჭიროა ტანის დაბანა.

ორგანიზმის დასვენებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ძილს, რომლის დროს ორგანიზმის ყველა ფუნქცია და განსაკუთრებით მისი ნერვული სისტემა მოსვენებულია.

აკადემიკოსმა კ. პარხონმა ი. მეჩნიკოვის, ი. პავლოვის შრომებზე დაყრდნობით და ქ. ბუქარესტის პერიატრიის ინსტიტუტთან თანამშრომლობით მიაღწია გარკვეულ წარმატებებს სიბერის მკურნალობისა და პროფილაქტიკის საქმეში.

დამტკიცებულია, რომ საერთო ჰიგიენის, შრომის ჰიგიენის, საყოფაცხოვრებო ჰიგიენის გარდა, სიბერის პროფილაქტიკურ და სამკურნალო საშუალებებს წარმოადგენენ აგრეთვე ჰორმონები, ვიტამინები, ორგანოთა ექსტრაქტები და ხელოვნური ძილი.

კარგი შედეგებია მიღებული კუნთებში ორპროცენტიანი ნოვოკაინის შეუყვანით. ჯერჯერობით ძნელია საბოლოო დასკვნის გამოტანა ნოვოკაინით მკურნალობის ეფექტიანობის შესახებ, მაგრამ მიღებული შედეგები ყურადღების ღირსია. აუცილებლად საჭიროა ამ მეთოდის ფართოდ გამოცდა და შესწავლა.

საჭიროა ორგანიზმზე ნოვოკაინის მოქმედების მექანიზმის მეცნიერული დასაბუთება და ბუქარესტის ინსტიტუტის მიერ დაგროვილ დაკვირვებათა თეორიული განზოგადება.

საბჭოთა ქიმიის და ფიზიოლოგიის მიღწევები, ორგანიზმის დაბერების კანონზომიერების შესახებ დაგროვილი დიდი ფაქტიური მასალა საშუალებას გვაძლევს გამოვნახოთ გზები ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის.

ამჟამად სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულია იმ დაავადებათა ნოვოკაინით მკურნალობის მეთოდი, რომლებიც გვხვდება ხანდაზმული ასაკის პირობებში. ამავე დროს საჭიროა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მოეწყოს ნოვოკაინით პროფილაქტიკური მკურნალობა. აუცილებელია აგრეთვე რომელიმე სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში შეიქმნას სიცოცხლის ხანგრძლივობის საკითხების შემსწავლელი კაბინეტი.

ხანგრძლივი სიცოცხლისათვის, ბუნებრივი, ნორმალური და შრომისუნარიანი მოხუცებულობისათვის ბრძოლა მეცნიერთა საპატიო ამოცანაა.

ბ. ფიცხელაური,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

* * *

სურათებზე: (მარცხნივ) სოხუმის რაიონის მცხოვრები ბ. შამფორია, დაბადებული 1839 წელს; (ზევით) თბილისის გარეუბნის რაიონის სოფელ დიღომში მცხოვრებ ხანდაზმულ ადამიანთა ჯგუფი: (მარცხნიდან მარჯვნივ) სხედან — ნ. ქუცნიაშვილი, ე. ქუცნიაშვილი, ს. მამუჩაშვილი, ა. მამუჩაშვილი, დგანან — ა. ქუცნიაშვილი, მ. ქუცნიაშვილი, ა. კენქოშვილი, მ. გოგიშვილი.

სიცოცხლის გახანგრძლივების საკითხისათვის

კაცობრიობის ისტორიის მთელ განძილზე ჯერ ქურუმები, ექიმები, ალქიმიკოსები, ასტროლოგები და შემდეგ მეცნიერები დაუნებით ცდილობდნენ გამოენახათ გზა ადამიანთა სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის. ინდოეთში და ჩინეთში ორი ათასი წლის წინათ სთვლიდნენ, რომ შეიძლება აცილებულ იქნას სიბერე, თუ ადამიანი სვამს ვეფხვის სასქესო ჯირკვლებს. ძველ ეგვიპტეში კი სიბერესთან ბრძოლის საშუალებად მიაჩნდათ პირიდან სასამქმელის მიღება და შემდეგ აბანოში ოფლის მოღება.

შვეიცარიელი ექიმი პარაცელსი (1493-1540) ამტკიცებდა, რომ მან იპოვნა „ცხოვრების ელექსირი“ ნებისმიერი ვადით სიცოცხლის გახანგრძლივები საშუალ. მაგრამ თვით პარაცელსმა 48 წელსაც ვერ მიაღწია. „ელექსირმა“ არ უშველა მის გამომგონებელსაც.

რუსეთში სიცოცხლის გახანგრძლივების საკითხების დამუშავებაზე მუშაობდა მრავალი მეცნიერი. 1833 წელს ქ. მოსკოვში გამოშვებულ იქნა პარიზელ ენციკლოპედიკოსის ტრაქტატი „ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების შესახებ“. ტრაქტატის ავტორის აზრით, სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის საჭიროა: დიეტური წესების დაცვით ავიცილოთ დაავადებანი, დროულად ვიმკურნალოთ, ვატარებდეთ ვარჯიშს, ვეწეოდთ სპორტიან სახმელებს, ნიკოტინს და დავიცვათ პირადი ჰიგიენა.

ამ საკითხს მიუძღვნეს შესანიშნავი გამოკვლევები ი. ი. მეჩნიკოვმა, ი. პ. პავლოვმა, ა. ა. ბოგომოლეცმა, ა. ვ. ნაგორნიმ, ზ. მ. ფრენკელმა, მ. კ. პეტროვამ, ა. გ. ნეგროვსკიმ და სხვებმა.

მრავალი სამეცნიერო დაწესებულებისა და მეცნიერთა კოლექტივის უურადღების ცენტრში დგას ამოცანა — გამორკვეულ იქნას ნაადრევი დაბერების მიზეზები, აღმოჩენილ იქნას ადამიანის ცხოვრების გახანგრძლივების საშუალებანი.

საბჭოთა კავშირს სამართლიანად უწოდებენ ხალხთა დღეგრძელობის ქვეყანას. მთელ ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობენ და აქტიურად შრომობენ 100 წელზე მეტი ასაკის მქონე ადამიანები. უკრაინაში ცხოვრობს 100 წლის ასაკს გადაცილებული 2.700-ზე მეტი მოქალაქე.

არსებული მონაცემების მიხედვით, ჩვენს რესპუბლიკაში ითვლება 90-100 წლისა და მეტ ასაკის დაახლოებით 10.000 მოხუცი. მათ შორის ქალები შეადგენენ 65 პროცენტს, მამაკაცები — 35 პროცენტს. აფხაზეთში ცხოვრობს 2.000-მდე კაცი, რომლებმაც მიაღწიეს 90-100 წლისა და მეტს. არანაკლები მრავალწლოვანი მოხუცი ცხოვრობს აგრეთვე რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც. აქარის ასსრ-ში ცხოვრობს — 549 კაცი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 337, სვანეთში — 66, ქ. თბილისში — 617, ქ. ქუთაისში — 198, ქ. გორში — 41 და ა. შ.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა ინსტიტუტის ექსპედიციამ ადგილობრივ სპეციალისტებთან ერთად შეამოწმა ასობით ადამიანი, რომლებიც ას წელზე მეტი ხნისა არიან. განსაკუთრებით დაწვრილებით იყო შესწავლილი და აღრიცხვაზე აყვანილი 1.000-მდე უხუცესი, რომელთა წლოვანება 90 წელს აკარბებდა.

უხუცესთა უმეტესობა შრომით ცხოვრებას ეწევა, მხნედ გამოიყურება. მრავალ მათგანს შენარჩუნებული აქვს მხედველობა, სმენა, კბილები, მათი გულსისხლძარღვთა, სასუნთქი და ნერვული სისტემა ნორმის ფარგლებს არ სცილდება. მათ შესახებ დაობა ხშირად შედარებით ახალგაზრდული აქვთ. უხუცესი ადამიანების დიდი უმეტესობა არასოდეს არაფრით არ ყოფილა ავად. ექსპედიციის მასალის მიხედვით, ყველაზე უხუცესი იყო ჯავის რაიონის სოფელ ერმანში მცხოვრები, ამ

საგვირველი ფრენები

ა. ტუპოლევი და მისი თვითმფრინავები

ერთ წელზე მეტმა განვლო მას შემდეგ, რაც საბჭოთა რეაქტიულმა სამგზავრო თვითმფრინავმა ტუ-104-მა კონსტრუქციის სიახლით, ორიგინალობითა და შესანიშნავი საფრენი მაჩვენებლებით მსოფლიო გააკვირვა. უცხოეთის პრესამ საყოველთაოდ აღიარა საბჭოთა სამგზავრო თვითმფრინავის უპირატესობანი სხვა არსებულ მსგავს კონსტრუქციებთან შედარებით. როგორც ცნობილია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლენინური პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილებით საავიაციო მრეწველობის გენერალურ კონსტრუქტორს აკადემიკოსს ანდრია ნიკოლოზის-ძე ტუპოლევს ამას წინათ მიენიჭა ლენინური პრემია თვითმფრინავ ტუ-104-ის შექმნისათვის.

საბჭოთა საავიაციო მეცნიერებისა და თვითმფრინავთა კონსტრუქციების განვითარების შემოქმედებითს ზრდას საფუძველი ჩაუყარა ცენტრალურმა აეროჰიდროდინამიკურმა ინსტიტუტმა. 1922 წელს ინსტიტუტში ჩამოყალიბდა თვითმფრინავშენებლობის საკონსტრუქტორო ბიურო, რომლის ხელმძღვანელად ა. ტუპოლევი დაინიშნა. დღემდე საკონსტრუქტორო ბიურომ შექმნა სხვადასხვა დანიშნულების 100-ზე მეტი თვითმფრინავი. დაგეგმარების გარდა ა. ტუპოლევი მუშაობდა თვითმფრინავშენებლობაში უახლესი მასალების გამოყენების პრობლემებზე. კერძოდ, თვითმფრინავში მან პირველმა გამოიყენა ალუმინის ახალი შენადნობი — დურალუმინი.

ა. ტუპოლევი ლითონის თვითმფრინავთა მშენებლობის ფუძემდებელია. ლითონის თვითმფრინავმშენებლობაზე გადასვლამ მოითხოვა თვითმფრინავების აშენების ტექნოლოგიისა და დაგეგმარების მეთოდების ძირფესვიანი შეცვლა. ა. ტუპოლევის შრომებმა ამ საკითხების გადაწყვეტაში დიდი როლი შეასრულა.



უდიდესია ა. ტუპოლევის დამსახურება საშუალო და მძიმე ბომბდამშენების კონსტრუქციების დამუშავებაში. მისი კონსტრუქციის ზოგიერთი ბომბდამშენი საფრენო სნო-ტაქტიკური მონაცემებით ბევრად აღემატება უცხოეთის რჩეულ ნიმუშებს. მათ შორის არის პირველი მძიმე ორმოტორიანი მთლიანლითონის მონოპლანი ანტ-4 (ტბ-1), რომელიც ორმოტორიანი ბომბდამშენი თავისუფალმზიდი მონოპლანების კლასიკური სქემის პირველსახედ გახდა.

ავიაციის განვითარებაში შესამჩნევი კვალი დატოვა სარეკორდო თვითმფრინავმა რდ (ანტ-25), რომელიც ააგო პ. ო. სუხოის კონსტრუქტორთა ჯგუფმა ა. ტუპოლევის ხელმძღვანელობით. ამ თვითმფრინავით 1934 წელს ეკიპაჟმა მ. გრომოვის მეთაურობით ფრენის სიშორისა და ხანგრძლივობის მსოფლიო რეკორდი დაამყარა. 1937 წელს ასეთსავე თვითმფრინავებზე შესრულებულ იქნა შესანიშნავი გადაფრენები მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მნიშვნელოვანია ა. ტუპოლევის დამსახურება საავიაციო მეცნიერებაში. ნ. ჟუკოვსკის შრომების შემდგომი განვითარების საფუძველზე ა. ტუპოლევი ამუშავებდა თვითმფრინავის აეროდინამიკური გაანგარიშების საფუძვლებს.

მეექვსე ხუთწლედში კიდევ უფრო შესამჩნევია საბჭოთა სამოქალაქო ავიაციის ტექნიკური პროგრესი. მაგისტრალურ ავიახაზებზე იმუშავებენ მრავალადგილიანი ჩქაროსნული თვითმფრინავები. ასეთი თვითმფრინავები უკვე შექმნილია. მათ შორის არის განთქმული ტუ-104, ტუ-1043, ტუ-110, „უკრაინა“ და ილ-18 „მოსკოვი“. ამათგან ტუ-104 უკვე უწევს მომსახურებას საბჭოთა კავშირის მაგისტრალურ ხაზებს.

ტუპოლევის კონსტრუქციის თვითმფრინავები ტუ-104 და მისი ტურისტული ვარიანტი ტუ-104 ა წარმოადგენენ მონოპლანებს ქვევით განლაგებული ისრისებრი ფრთით. 70-ტონიან თვითმფრინავებს აქვთ ორ-ორი მძლავრი ტურბორეაქტიული ძრავი, რომელთა სიმძლავრე ბევრად აღემატება უცხოეთის რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავების ძრავების სიმძლავრეს. მანქანები ფრინავენ 10.000—11.000 მეტრ სიმაღლეზე და ავითარებენ საათში 800 კილომეტრ კრეისერულ სიჩქარეს. ტუ-104-ს და ტუ-104ა-ს შეუძლიათ ფრენა საათში 1.000 კილომეტრი სიჩქარითაც, მაგრამ საათში 800 კილომეტრი სიჩქარე მეტად ხელსაყრელია საწვავის მინიმალური ხარჯვის თვალსაზრისით. ტუ-104-ის კომფორტაბელური კაბინები იტევს 50 მგზავრს, ტუ-104 ა-სი კი — 70.

თვითმფრინავი ტუ-110 ფორმით მისი „თანამოძმეების“ მსგავსია. იგი ასადგილიანია და 4 ტურბორეაქტიული ძრავი საშუალებას აძლევს განავითაროს საათში 1.000 კილომეტრი სიჩქარე.

თვითმფრინავებში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ფრენის უსაშიშრობას. თვითმფრინავებზე დაყენებული თანამედროვე ნავიგაციური, რადიოლოკაციური და კავშირგაბმულობის რადიომოწყობილობა უზრუნველყოფს შორს ფრენას და დაჯდომას რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში როგორც დღისით, ისე ღამით. დიდ სიმაღლეებზე ფრენისათვის მგზავრთა კაბინის ჰერმეტიულობა ქმნის „საკუთარ ატმოსფეროს“, რომელიც უზრუნველყოფს თვითმფრინავებში ნორმალურ წნევას, ტენიანობასა და მუდმივ ტემპერატურას (+20°). დიდ სიმაღლეზე ჰერმეტიულობის დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია თვითმფრინავების სწრაფი დაშვება ჰაერის მკვრივ ფენებში.

მგზავრებისათვის შექმნილია მაქსიმალური კომფორტის პირობები. ყოველ სავარძელს აქვს უანგბადის ინდივიდუალური ხელსაწყო, ინდივიდუალური განათება, ვენტილაცია. ბრწყინვალედ არის გადაჭრილი ისეთი საკითხები, როგორიც არის ბგერის იზოლაცია, რხევის ჩახშობა, შემოყვნის საწინააღმდეგო მოწყობილობა და სხვ.

აღნიშნული თვითმფრინავები დიდი დაძაბული შრომის ნაყოფია. მათი სახით საბჭოთა მეცნიერებმა შექმნეს ჩვენი ეპოქის შესანიშნავი მანქანები, რომლებიც კონსტრუქციის სიახლით, ორიგინალობით და საუკეთესო საფრენი მაჩვენებლებით უპირველესნი არიან მსოფლიოში მსგავსი კონსტრუქციის მანქანებთან შედარებით.

რ. კაჭარავა,
ინჟინერ-მექანიკოსი.

* * *

სურათზე: თვითმფრინავი ტუ-110.

მეორასე სპექტაკლი

დღეს, 14 ივლისს კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი სეზონს ხუთავს ვ. კანდელაკის ჰეროიკული კომედიის „მაია წყნეთელის“ მე-200 სპექტაკლით. 200 სპექტაკლი ორი წლის განმავლობაში! ორასი ანშლაგი! გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სპექტაკლის ასეთი წარმატება იშვიათია. „მაია წყნეთელი“ სასიხარულო მოვლენად გადაიქცა ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში და მაყურებლის დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. სპექტაკლზე მრავალჯერ მოაწყეს კოლექტიური დასწრება არა მარტო თბილისის სხვადასხვა დაწესებულებისა და ორგანიზაციის კოლექტივებმა, არამედ დუშეთის, მცხეთის, სიღნაღის, გარეჯის და სხვა რაიონების კოლმეურნეებმაც, რომლებმაც გულითადი მადლობა გადუხადეს თეატრს სპექტაკლის შექმნისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლი 200-ჯერ იქნა წარმოდგენილი, მაყურებლის ინტერესი მისადმი არ შენელებულა.

„მაია წყნეთელმა“ საქართველოს თეატრების თითქმის ყველა სცენა მოიარა, დაიდგა ბათუმში, სოხუმში, გორში, თელავში, სტალინირში, ფოთში, ჭიათურაში. მაგრამ პირველი სცენიური ნათლობა პიესამ კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში ჰპოვა: თეატრის კოლექტივმა საყვარულით და გულდასმით იმუშავა პიესაზე და შექმნა ღრმა პატრიოტიზმით გამთბარი, ამაღლებული, სიცოცხლით სავსე სპექტაკლი (დამდგმელი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ტაბლიაშვილი, მხატვარი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლადო გუდიაშვილი, კომპოზიტორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე არჩილ კერესელიძე).

ჩვენს თეატრში მაიას როლის ორი ჩინებული შემსრულებელი აღმოჩნდა: ელენე ყიფშიძე და მზია მახვილაძე. ამ როლით ორივემ დიდი პოპულარობა მოიპოვა. ე. ყიფშიძის მაია ლაღი, ამაყი, სიმშობლოს სიყვარულით ანთებული პატიოსანი გლეხის ქალია. მ. მახვილაძის მაია შინაგანი ძალათა და დრამატულობით გამოირჩევა. სპექტაკლში კვლავ გამოჩნდა რესპუბლიკის სახალხო არტისტის სტალინური პრემიის ლაურეატის ვასო გოძიაშვილის ბრწყინვალე აქტიორული ნიჭი (მეფე ერეკლე). მას ღირსეული შემცვლელი აღმოუჩნდა ტარიელ საყვარელიძის სახით. სპექტაკლი მდიდარია მსახიობთა შემოქმედებითი გამარჯვებებით, სახეთა მრავალფეროვნებით, ანსამბლურობით. მაყურებელმა გულწრფელად შეიყვარა ბუნებრივი, მადლიანი კომიზმით სავსე ჯემალი (ვახტანგ ნინუა), ტლუ ვაქაცი მანუჩა (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. ტრიპოლსკი), მაიას მამა (გ. ტატიშვილი) და ერთგული მეგობრები: ქარიყლაპია (ო. მეღვინეთ-უხუცესი), შერმადინი (შ. ქოჩორაძე, თ. მაისურაძე), გუგუნა (ნ. მგალობლიშვილი, გ. გოგუა); თავიანთი ოსტატური თამაშით მაყურებლის მოწონებას იმსახურებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. ეორკოლიანი (ქერიმ-აღა), რესპუბლიკის სახალხო არტისტი სტალინური პრემიის ლაურეატი ა. კვანტალიანი (ანდუყაფარი), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. გომელაური (ზალიკა), მსახიობი გ. გოცირელი (მიხო), სამშობლოს მოღვაწე ვერაგი და გორგონ თავაღება — ამილახვარი (ა. ვერულელიშვილი), გუბახი (ა. ბეგალიშკილი), ბარათა (ვ. მგელაძე), ქაიხოსრო (დ. ოქროსცვარიძე).

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის რამდენიმე მსახიობი მიწვეულ იქნა საგასტროლოდ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში.

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი ზეიმით აღნიშნავს „მაია წყნეთელის“ მე-200 სპექტაკლს.

ივ. გვინჩიძე,
მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „მაია წყნეთელი“.



უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ ბუდაპეშტში მოწყობილია ზღაპრების გადაცემა ტელეფონით. ბავშვებს ძალიან მოსწონთ ზღაპრების ასე მოსმენა. პატარები ააწყობენ ზღაპრების განყოფილების ტელეფონის ნომრებს და ყურადღებით უსმენენ... ზღაპრები ჩაწერილია მაგნიტოფონის ლენტზე და, ბავშვების აზრით, ერთიმეორეზე უკეთესია. **სურათზე:** — მარჯვნივ: მანიკა და კლარიკა ტელეფონით ისმენენ ახალ ზღაპრებს.

ფოტო უნგრეთის დეპეშათა სააგენტოსი.

* * *

1960 წელს რომში გაიმართება მორიგი ოლიმპიური ასპარეზობა. ამჟამად იტალიის დედაქალაქში მიმდინარეობს ოლიმპიურ სახპორტო ნაგებობათა მშენებლობა. **სურათზე** — ქვემოთ: მშენებლობა დარბაზისა ტანვარჯიშსა და ფარიკაობაში შეჯიბრებისათვის.

ფოტო იტალიის სააგენტო პუბლიფოტოსი.

რაზე მუშაობენ ქართველი მხატვრები

ვალერიან თოფურიძე

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით სსრ კავშირის სახმენმა, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, სსრ კავშირის საბჭოთა მხატვრების კავშირმა და სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირმა გამოაცხადეს სრულიად საკავშირო კონკურსი საბჭოთა სახელმწიფოს და კომუნისტური პარტიის დიდი დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ძეგლის — საბჭოების სასახლის საუკეთესო პროექტისათვის. მე მიწვეული ვარ დახურულ კონკურსზე. მოსკოველ არქიტექტორთან აკადემიკოს აღექსანდრე ვლასოვთან ერთად ვმუშაობ მოსკოვში დასადგმელი ლენინის ძეგლის შექმნაზე. მოსკოვის დაკვეთით მოქანდაკე გიორგი ჯაფარიძესთან ერთად დავამთავრე აგრეთვე ლენინის 5 მეტრი სიმაღლის ძეგლი, რომელიც ქალაქ პავლოდარსკში დაიდგმება.

ქართველი მხატვრები ენერგიულად ემზადებიან ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო გამოფენისათვის, რომელიც ქალაქ მოსკოვში მოეწყობა.

ქვემოთ ვაქვეყნებთ რამდენიმე მხატვრის შემოქმედებითი მუშაობის გეგმას, რის განსახორციელებლად ისინი ამჟამად მუშაობენ.

◆

გიორგი ჯაფარიძესთან ერთად დავამთავრე უკრაინული მაღალი ხარისხის წითელი გრანიტის მთლიანი ქვის 4 მეტრისა და 20 სანტიმეტრის სიმაღლის ი. ბ. სტალინის ძეგლი, რომელიც დაიდგმება მეშახტეთა ქალაქ ტყიბულში.

თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, პირველი საშუალო სკოლის ეზოში დაიდგმება ილიასა და აკაკის სკულპტურული ჯგუფი, რომლის შექმნაზეც ვმუშაობ შოთა მიქატაძესთან და გიორგი ჯაფარიძესთან ერთად.

ვმუშაობ ცხენზე მჯდომ ვახტანგ გორგასალის ძეგლზე, რომელიც დაიდგმება თბილისში, მეტეხის ხიდთან.

როგერტ სტურუა

ძირითადი ამოცანა, რომელიც ამჟამად ჩემს წინაშე დგას, ეს არის შევქმნა სურათი თემაზე „ახალი ხევსურეთი“. ბევრი საინტერესო მასალა შევაგროვე ამ იდეის განსახორციელებლად, გულდასმით გავეცანი და შევისწავლე ახალი ხევსურეთის ცხოვრება, ხევსურთა შრომა-საქმიანობა.

პარალელურად ვემზადები, რომ წარმატებით განვახორციელო მეორე ამოცანა — ტყიბულის კულტურის სახლის ჭერის მოხატვა, რომლის თემაა: „ბოროტსა სძლია კეთილმა“ (ქართული ზღაპრების მიხედვით).

თენგიზ ღვინიაშვილი

ამ დღეებში დავამთავრე ქანდაკება „ქართველი ფეიქარი“. ამჟამად ვმუშაობ კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილის პორტრეტზე. შემდგომ გეგმაში გათვალისწინებული მაქვს ე. ნინოშვილის მოთხრობის თემაზე შექმნა სკულპტურული კომპოზიცია „პალიასტომას ტბა“. განზრახული მაქვს ეს კომპოზიცია გადავწყვიტო ორი ფიგურის — მამისა და შვილის გამოკვეთის საშუალებით და გამოვხატო მათი ტბაში დაღუპვის მომენტი.

ჭიათურელი სპეციალისტები იტალიაში

მაისში იტალიის დედაქალაქ რომში მიმდინარეობდა პირველი საერთაშორისო კონგრესი სამგზავრო საჰაეროსაბაგირო გზების საკითხებზე. საბჭოთა კავშირიდან კონგრესზე მონაწილეობდა ხუთი დელეგატი. დელეგაციაში შედიოდნენ მოსკოვის საამწეო-სატრანსპორტო მანქანების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მთავარი ინჟინერი ვ. პლავინსკი (დელეგაციის ხელმძღვანელი), მოსკოვის საპროექტო ინსტიტუტის „სოიუზპრომმეხანიზაციის“ საბაგირო გზების მოწყობილობათა და დაპროექტების განყოფილების გამგე ა. კუზნეცოვი, „სოიუზპრომმეხანიზაციის“ უკრაინის განყოფილების უფროსი ი. ცერკოვნი, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველი შ. შეყლაშვილი და ჭიათურის მარგანეცის ტრესტის საპროექტო განყოფილების უფროსი გ. ფანცულაია.

დელეგატები გაეცნენ სამგზავრო-საბაგირო ოთხი გზის, ფირმა „ჩერეტი და ტანფანის“ საკონსტრუქტორო ბიუროებისა და მისი საწარმოების მუშაობას, დაათვალიერეს იტალიის ქალაქები რომი, ნეაპოლი, მილანი, ვენეცია, სორენტო და სხვ., ინახულეს მსოფლიოში ცნობილი მუზეუმები და ხუროთმოძღვრების ძეგლები, რამდენიმე დღე დაჰყვეს აგრეთვე საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში.

* * *

ახლის ძიებაში

სამტრედიიდან ფოთისაკენ მიმავალ რკინიგზაზე მონტიორები საკონტაქტო ხაზზე მუშაობდნენ. ეს ჩვეულებრივი ამბავია, ყოველთვის ხდება ქსელის პროფილაქტიკა, მაგრამ იმჯერად მონტიორებს სულ სხვა მიზანი ამოქმედებდათ. სემაფორიდან გარკვეულ მანძილზე მათ უფრო მაღლა ასწიეს ხაზი, რომლიდანაც ელმავალი დენით იკვებება. ასეთი რამ კი ჩვენი ქვეყნის არც ერთ რკინიგზაზე არ მომხდარა.

— კმარა, კარგია? — შეეკითხნენ ინჟინერს, რომელიც ერთი წუთითაც არ მოსცილებია მაღლა ასულებს, სანამ სამუშაო არ დაამთავრეს.

ინჟინერმა თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია და მზის სხივებზე მოლაპლაპე, ლარივით გაჭიმულ ლიანდაგს გახედა. ჩაფიქრდა. მის გონებაში მომავლის სურათი აისახა.

...აი მატარებელი სადგურს მიუახლოვდა. წინ სემაფორი გამოჩნდა. არაჩვეულებრივად მაღლა აწეული საკონტაქტო ქსელი აიძულებს ელმავლის პანტოგრაფს ზევით გადაადგილდეს, რაც თავის მხრივ ელმავლის სპეციალურ საყვირს აამოქმედებს. მემანქანე საყვირის ხმას გაიგებს, სემაფორს შეხედავს და სპეციალურ სახელურს დაიწევს, მატარებელი სადგურში შესრიალდება. თუ არა საყვირის ხმა, შეიძლება მემანქანეს ყურადღება არ მიექცია სემაფორისათვის, ანაზდეულად შეჭრილიყო სადგურზე. საყვირი აამოქმედა სწორედ ზევით აწეულმა საკონტაქტო ქსელმა. თუ მემანქანემ ყურადღება არ მიაქცია საყვირის ხმას და სპეციალურ სახელურს არ დააწვა, მატარებელი მაინც გაჩერდება ავტომატურად.

ასე დაიწყო ერთი წლის წინათ ამიერკავკასიის რკინიგზაზე ინჟინერ ვახტანგ მაღლაშვილის გამოგონების დანერგვა. სამტრედია-ფოთის უბანზე ყველგან მოქმედებს მაღლაშვილის სისტემის ავტოსტოპები (ავტომატური გასაჩერებლები).

ამას წინათ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოდან გამოყოფილმა კომისიამ შეამოწმა მაღლაშვილის სისტემის ავტოსტოპების პრაქტიკაში გამოყენების შედეგები. კომისიამ მაღალი შეფასება მისცა ახალ ავტოსტოპებს.

ინჟინერმა ვახტანგ მაღლაშვილმა არსებული ავტოსტოპების კონსტრუქციაში რამდენიმე გაუმჯობესება შეიტანა. მაგალითად, როცა მემანქანე მატარებლიდან ლიანდაგზე ყვითელ სინათლეს ამჩნევს, მან მატარებლის სიჩქარე უნდა შეანელოს. მაგრამ ხშირად ასე არ ხდება. მაღალაშვილმა ავტოსტოპს დაუმატა მოწყობილობა, რომელიც ყოველთვის „ამოწმებს“ მემანქანეს, ქაღალდის ლენტზე განუწყვეტლივ აღნიშნავს, თუ რა სიჩქარით გაიარა მატარებელმა ამა თუ იმ ფერის სიგნალი. ლენტზე აგრეთვე აღინიშნება, თუ გზის რომელ უბანზე დაიწყო მემანქანემ დამუხრუჭება — ლენტზე იხაზება სამუხრუჭეს წნევის დიაგრამა. ისე რომ მემანქანის მუშაობაზე ყოველმხრივი ავტომატური კონტროლია დაწესებული.

ნამდვილ გამომგონებელს, იმას, ვინაც სისხლში და ხორცში აქვს გამჯდარი შემოქმედებითი ძიების წყურვილი, არ სჩვევია მიღწეულით დაკმაყოფილება.

— წეღან მკითხეთ, — გვითხრა მან, — თუ რაზე ვმუშაობ. მინდა განვახორციელო მატარებლის მართვა ავტომატით. მემანქანე მეთვალყურის როლს შეასრულებს.

— უმემანქანოდ! ძნელი წარმოსადგენია! მატარებელს შესაძლოა მოულოდნელი დაბრკოლება შეხვდეს გზაზე, რა იმოქმედებს, მაგალითად, ლოკომოტივის მართვის ორგანოებზე, როცა იწყება აღმართი და საჭიროა სიმძლავრის მომატება. როგორ შეიგრძნობს ამას ავტომატი-მემანქანე?

— გზის პროფილის ცვალებადობის ყოველ ადგილას ლიანდაგში ჩაიდგმება სპეციალური ხელსაწყო — გზის ინდუქტორი. როცა ელმავალი გადაივლის ამ ხელსაწყოზე, ავტომატი — მემანქანე შეიგრძნობს მას და სათანადო იმპულსს გადასცემს სამართავ ორგანოებს, რომლებიც ამის მიხედვით გარდაქმნიან თავის მუშაობას. გაჩერების დროს მოქმედებას დაიწყებს სამუხრუჭე ბადრო, რომელიც წინასწარ იქნება მოწყობილი ე. წ. დამუხრუჭების პროგრამის მიხედვით.

ვფიქრობთ, მატარებლის პირველი საცდელი ავტომატური მართვა ამიერკავკასიის რკინიგზაზე მოვაწყოთ, ხაშურ-ბორჯომის უბანზე, — დაამთავრა განმარტება ნოვატორმა ინჟინერმა.

ა. კარბელაშვილი.

ვ. მაღალაშვილი.

* * *

შაობ შოთა მიქატაძესთან და გიორგი ჯაფარიძესთან ერთად.

ვმუშაობ ცხენზე მჯდომ ვახტანგ გორგასალის ძეგლზე, რომელიც დაიდგმება თბილისში, მეტეხის ხიდთან.

როგერტ სტურუა

ძირითადი ამოცანა, რომელიც ამჟამად ჩემს წინაშე დგას, ეს არის შევქმნა სურათი თემაზე „ახალი ხევსურეთი“. ბევრი საინტერესო მასალა შევაგროვე ამ იდეის განსახორციელებლად, გულდასმით გავეცანი და შევისწავლე ახალი ხევსურეთის ცხოვრება, ხევსურთა შრომა-საქმიანობა.

პარალელურად ვემზადები, რომ წარმატებით განვახორციელო მეორე ამოცანა — ტყიბულის კულტურის სახლის ჭერის მოხატვა, რომლის თემაა: „ბოროტსა სძლია კეთილმა“ (ქართული ზღაპრების მიხედვით).

თენგიზ ღვინიაშვილი

ამ დღეებში დავამთავრე ქანდაკება „ქართველი ფეიქარი“. ამჟამად ვმუშაობ კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილის პორტრეტზე. შემდგომ გეგმაში გათვალისწინებული მაქვს ე. ნინოშვილის მოთხრობის თემაზე შექმნა სკულპტურული კომპოზიცია „პალიასტომას ტბა“. განზრახული მაქვს ეს კომპოზიცია გადავწყვიტო ორი ფიგურის — მამისა და შვილის გამოკვეთის საშუალებით და გამოვხატო მათი ტბაში დაღუპვის მომენტი.

პადრაკი

როგორ იგებენ თეთრები?

ასეთი კითხვა დაგებადებათ, როგორც კ. შეხედავთ დიაგრამაზე მოყვანილ მდგომარეობას.



თეთრები იწყებენ და იგებენ

მართლაც როგორ იგებენ თეთრები? საკმარისია შავებმა გაცვალონ ეტლი, რომ გარდუვალი ყიანი მივიღოთ. ეტლი კუს წინაღმდეგ საერთოდ ვერ იგებს. ამიტომ თეთრებმა გამარჯვების მისაღწევად უნდა მონახონ ერთადერთი გზა, რომელიც, რასაკვირველია, არსებობს.

საჭადრაკო კომპოზიციის მსგავს ნაწარმოებს, რომელშიც ჩვეულებრივად თეთრებს ერთადერთი სვლებით იგებენ ან აღწევენ ყიანს ეტიუდი ეწოდება. ეტიუდში, ამოცანებისაგან განსხვავებით, სვლების რაოდენობა არ არის განსაზღვრული, დასაწყისში ქიში და ფიგურების აყვანაც დაშვებულია. ეტიუდის ამოხსნაში დახელოვნებას მოჭადრაკისათვის დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს, რადგან ეტიუდი თავისი ფორმით და შინაარსით პარტიის დამამთავრებელ სტადიას (ენდშპილს) ენათესავება.

აქ მოყვანილი ეტიუდი ეკუთვნის გამოჩენილ საბჭოთა ეტიუდისტს, საერთაშორისო ოსტატს ჰენრიხ კასპარიანს, რომლის შემოქმედება გვაოცებს თავისი საღრმოთა და მხატვრულობით. ჰ. კასპარიანი აღიარებული მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონად საეტიუდო ხელოვნებაში. იგი ერთადერთი საბჭოთა მოჭადრაკეა, რომელსაც აქვს სპორტის ოსტატის საპატიო წოდება როგორც ჭადრაკის თამაშში, ისე საჭადრაკო კომპოზიციაში. ჭადრაკის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის ჰ. კასპარიანი საბჭოთა მთავრობამ ამ წინათ დაჯილდოვა მედლით „შრომითი მამაცობისათვის“.

ამჟამად სახელმოხვეჭილი ეტიუდისტი ახალგაზრდების აღზრდის საქმეს ემსახურება თბილისის განათლების განყოფილების ჭადრაკის სპეციალურ სპორტულ სკოლაში.

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი.

* * *

მოგვყავს გაზეთ „კომუნისტის“ 16 ივნისის ნომერში მოთავსებული შ. ფრუიძის ამოცანა. **გადაწყვეტა** 1. Bd3—b4! მუქარით 2. ld4×.

ამერიკული იუმორი

ბავშვის მიამიტობა

ოჯახის წევრები და სადილზე დაპატიჟებული სტუმარი მაგიდას მიუსხდნენ. დიასახლისმა უეცრად შენიშნა, რომ სტუმარი უდანაჩენოდ დაეტოვებინათ.

— ბეტი, — ეკითხება დედა თავის გოგონას, — რა მოხდა? მისტერ უოიტს რატომ არ ვაძლევ დანა-ჩანგალი?

— ეს საჭიროდ არ ჩავთვალე, აკი მამიკომ თქვა ხარივით ჭამსო.

(„ტაიზ“)

* * *

სამაგიეროს გადახდა

პროფესორის ბინაში დილის 4 საათზე ტელეფონმა დარეკა.

ყურმილში გაისმა ქალის აღშფოთებული ხმა:

— თქვენი ძაღლის ყეფა ძილს არ მანებებს, — ბრალობდა პროფესორმა ჰკითხა, ვინ რეკავდა. მეორემ ამბობს, სრულ 4 საათზე, ქალის ბინაში ოფლიანად ტელეფონი.

— ქალბატონო, — უთხრა პროფესორმა, — ეს ძაღლი არა მყავს.

(„მილვოკი ჯორნელ“)

დღეს

თბილისის კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ა**ნ ბანოვის სახელობის** კლუბი — ახალგაზრდობის წყარო, **ამირანი** (საზამთრო) — ლედი მილტონი, **ამირანი** (საზაფხულო) — პარიზელი სავაგე, **ფილარმონიის ბალი** — მამა, დედა, მოსამსახურე და მე, **ძერჟინსკის სახელობის** კლუბი, **ისანი** (საზამთრო) — გაზაფხულის **ისანი** (საზაფხულო) — დიადი დასაწყისი, **სპარტაკი** — ვენეციის ღამე, **თბილისი** — ქალი შვილები ესპანეთის მოედნიდან, **კომკავშირელი** — ბალერინის ბედი, **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **კოლხიდა** (საზამთრო), **ოფიცერთა სახლი** — ვლადიმერ ოლერის დანაშაული, **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო) — ფესტივალი.



14 ივლისისათვის

დღისით

15.00 — ყველაზე პატარებისათვის „თქვენი თხოვნით, მეგობრებო“, 15.15 — შუალი ასაკის ბავშვებისათვის — სატელევიზიო ჟურნალი — „საქართველოს პიონერი № 11 („რესპუბლიკის ახალგაზრდობის ზეიმი“, „სად წავიდეთ, საღ დავისვენოთ“, „გზა ესეც დასვენებაა?“, „პიონერული კინოქრონიკა“ და სხვ.). 15.50 — მონტაჟი ნახატი ფილმისა „თეთრთოვლა და შვიდი გნომი“. 17.00 — მომავალი კვირის საბავშვო გადაცემათა პროგრამა.

საღამოთი

20.00 — საკონცერტო პროგრამა, 20.30 — კინოჟურნალი „უცხოეთის კინოქრონიკა“, 20.40 — ახალი კინოკომედია „თქვენ უყვარხართ“.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

УЕ 02269 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.